



აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

„დერივაციული სარჩელის გერმანულ-ამერიკული
მოდელი და მისი მიმართება ქართულ სამართალთან“

ავტორი: გოგიტა ბახტაძე

ხელმძღვანელი: გია ლილუაშვილი

წარდგენილია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ქ. თბილისი, 0178, საქართველო
ივლისი, 2021 წელი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას. სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

თარიღი:

ხელმოწერა:

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი გოგიტა ბახტაძის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით „დერივაციული სარჩელის გერმანულ-ამერიკული მოდელი და მისი მიმართება ქართულ სამართალთან“ და ვაძლევ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალურ კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელის ხელმოწერა:

პროსპექტუსი

სამაგისტრო ნაშრომის თემას წარმოადგენს „დერივაციული სარჩელის გერმანულ-ამერიკული მოდელი და მისი მიმართება ქართულ სამართალთან“. დერივაციული სარჩელის და მისი თავისებურებების შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი სამეწარმეო სამართლის ნაწილია, იმ სამართლის, რომელიც დღეს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად ჯერ კიდევ ბუნდოვანია. საკითხის აქტუალობა გამომდინარეობს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობიდანაც. საქართველოში, სამწუხაროდ, არ არის უცხოელ ინვესტორთა საკმარისი რაოდენობა. ინვესტიციების განხორციელებისაგან თავის შეკავების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად კი არასტაბილური სამართლებრივი გარემო მიმაჩნია, რომელიც ხელს უშლის გრძელვადიანი ბიზნეს პროგნოზებისა და გეგმების დასახვას.

დირექტორის მიერ კეთილსინდისიერების, ერთგულებისა და გულისხმიერების მოვალეობის შესაძლო დარღვევისთვის კომპანიები საკუთარი დირექტორების წინააღმდეგ ხშირად მიმართავენ სასამართლოს. „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ განსაზღვრავს შემთხვევას, კონკრეტულად ვინ შეიძლება, რომ ასეთი სარჩელი წარადგინოს - დირექტორატის წევრმა, სამეთვალყურეო საბჭომ, ცალკეულმა პარტნიორმა ან პარტნიორებმა. სარჩელი, რითაც კომპანია დირექტორის წინააღმდეგ აწარმოებს სასამართლო დავას ხშირად მოიხსენიება, როგორც დერივაციული სარჩელი, რომლის წარმოქმნა შესაძლოა სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობოს. სწორედ ამიტომ, დერივაციული სარჩელის მიმოხილვისას, როგორც აქციონერთა უფლებების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმი, აუცილებელია პროცესუალური საკითხების განხილვაც. თუმცა, მიუხედავად საკანონმდებლო რეგულირებისა, საპროცესო ნორმები, იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო პრაქტიკა ზოგ შემთხვევაში განსხვავებული და პრობლემატურია, არ იძლევა ერთგვაროვანი განმარტების

შესაძლებლობას და საჭიროა საკანონმდებლო ნორმებისა და სასამართლო პრაქტიკის შეჯერების საფუძველზე მნიშვნელოვანი განმარტებების გაკეთება, რაშიც დიდ როლს თამაშობს გერმანული სამართლის პრაქტიკა და მიდგომები.

სწორედ აღნიშნული საფუძველით, წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დერივაციული სარჩელის თავისებურებების განხილვა ქართული და გერმანულ-ამერიკული მოდელის ფარგლებში, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, კერძოდ, შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების ანალიზი, აკადემიური კომენტარების, სტატიების/ნაშრომების, კვლევების, ანგარიშებისა და რეკომენდაციების განხილვა, ასევე საერთო სასამართლოებისა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი განსახილველ საკითხთან მიმართებით.

გამოყენებული აბრევიატურები:

გვ. - გვერდი

კანონი - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი

აშშ, ამერიკა - ამერიკის შეერთებული შტატები

ეთგო - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

ე.ი. - ესე იგი

იხ. - იხილეთ

სხვ. - სხვა

თბ. - თბილისი

წ. - წელი

მუხ. - მუხლი

ნაწ. - ნაწილი

პ. - პუნქტი

დოკ. - დოკუმენტი

გამომც. - გამომცემლობა

პროფ. - პროფესორი

სქ. - სქოლიო

მაგ. - მაგალითად

სარჩევი

შესავალი	8
თავი I. დერივაციული სარჩელის ცნება და როლი საკორპორაციო სამართალში	11
თავი II. დერივაციული სარჩელის სამართლებრივი მექანიზმები.....	17
2.1. სარჩელის აღძვრის მიზეზი.....	18
2.2. დერივაციული სარჩელის აღძვრის წინაპირობები.....	19
2.3. დერივაციული სარჩელის აღძვრის სუბიექტი.....	21
2.4. დერივაციული სარჩელის აღძვრის პროცესუალური ეტაპების მიმოხილვა	22
2.5. მტკიცების ტვირთი.....	25
2.6. დერივაციული სარჩელის წარმოქმნის პრევენციის მექანიზმები	29
თავი III. დერივაციული სარჩელის საკანონმდებლო მოწესრიგება გერმანიაში და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა	30
თავი IV. დერივაციული სარჩელის საკანონმდებლო მოწესრიგება აშშ-ში და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა	35
4.1. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა	39
თავი V. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საქართველოში	52
თავი VI. გერმანულ-ამერიკული და ქართული მოდელების შედარებითი ანალიზი.....	60
თავი VII. დერივაციული სარჩელის მოწესრიგება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით	63
დასკვნა	66
გამოყენებული ლიტერატურა.....	69

შესავალი

სამეწარმეო სამართლის ჩამოყალიბება საქართველოში ისტორიულად საბჭოთა კავშირის დაშლასთან ასოცირდება. საბჭოთა კავშირის დაშლის, სოციალისტური სამართლიდან თავის დაღწევისა და ბიზნესის განვითარების თვალსწრისით ეტაპობრივად დაიწყო კორპორაციული სამართლის შექმნა. საქართველოს რესპუბლიკის კანონი მეწარმეთა შესახებ პირველად 1994 წელს გამოქვეყნდა¹ და აწესრიგებდა სამეწარმეო საქმიანობის მონაწილეთა მოწყობის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებს. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა 2000-ანი წლების დასაწყისში, თუმცა განსახილველი თემის საკითხი - დერივაციული სარჩელი პირველად კანონში 2008 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად ჩნდება. პირველადი ცვლილებები ეხება მხოლოდ სააქციო საზოგადოების აქციონერებს. კერძოდ, 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

სასამართლოს მიერ აქციონერის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით.

¹ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი, დოკ. N577; მიღების თარიღი: 28/10/1994; ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=0> ბოლოს ნანახია: 01.07.2021 წ.

საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა საზოგადოებისათვის. თუ აქციონერი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან სარჩელი არ დაკმაყოფილდა, აქციონერს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აქციონერის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს აქციონერს სასამართლო ხარჯების გადახდა.²

რაც შეეხება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორებისთვისაც დერივაციული სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი 2014 წლამდე არ იცნობდა. 2014 წელს განხორციელებული ცვლილებებით კი, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტით განისაზღვრა, რომ „თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს. სასამართლოს მიერ პარტნიორის სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში საზოგადოება ვალდებულია აუნაზღაუროს პარტნიორს სარჩელთან დაკავშირებული, კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული სასამართლოსგარეშე ხარჯები, ადვოკატის ხარჯების ჩათვლით. საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების

2 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე; მიღების თარიღი: [2008 წლის 14 მარტი, დოკ. №5913, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/20770?publication=0> ; მუხ.33](#). ბოლოს ნანახია: 01.07.2021 წ.

ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზოგადოებისათვის საზიანო აღმოჩნდა. თუ პარტნიორი მიჩნეულ იქნა არასათანადო მოსარჩელედ ან მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა, პარტნიორს ეკისრება საზოგადოების მიერ კეთილგონიერების ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, რომლებიც წარმოიშვა პარტნიორის მოთხოვნასთან დაკავშირებით. პარტნიორის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასამართლოს შეუძლია გადაუვადოს მას სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.“³

მიუხედავად აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაციებისა, სამწუხაროდ, ქართული სასამართლო პრაქტიკა არ არის მდიდარი, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ერთეული შემთხვევებია, რაც გახდა კიდეც მიზეზი იმისა, რომ თემა განხილულიყო ამერიკულ-გერმანული მოდელებთან მიმართებით, მითუმეტეს, რომ ქართული კანონმდებლობა და განსაკუთრებით სამეწარმეო სამართალი ძირითადად ეყრდნობა გერმანულ სამართალს. გამომდინარე აქედან, უცხო ქვეყნების პრაქტიკისა და რეგულაციების გაცნობითა და ქართულ კანონმდებლობასთან შედარებით, უფრო ნათელი გახდება, თუ როგორ უნდა მოხდეს დერივაციული სარჩელის გამოყენება და რა მნიშვნელობა აქვს მას არა მხოლოდ პარტნიორების/აქციონერებისათვის, არამედ ბიზნესის მდგრადობის თვალსაზრისითაც.

ამასთან, სასამართლო პრაქტიკის სიმწირე განაპირობებს ლიტერატურის რაოდენობის სიმცირესაც, ინტერესის ნაკლებობას დერივაციული სარჩელის მიმართ. მაგრამ, აღსანიშნავია, რომ არა ერთი პროფესორი თუ დარგის სპეციალისტი უძღვნის სტატიებს განსახილველ თემას, რაც გვეხმარება სარჩელის არსის გაგებაში.

3 „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე; მიღების თარიღი: 2014 წლის 31 ოქტომბერი, დოკ. №2764, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2568080?publication=0#DOCUMENT:1>; ბოლოს ნანახია: 01.07.2021 წ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არსებული ლიტერატურის, უცხოური წყაროების, როგორც ქართული, ასევე საერთაშორისო პრაქტიკის, წარმოდგენილი სტატიებისა და საკანონმდებლო ნორმების განხილვის შედეგად, ისტორიული, შედარებით-სამართლებრივი და ანალიტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით, ვფიქრობ, შესაძლებელი იქნება დერივაციული სარჩელის ცნების, არსის, მისი გამოყენების მნიშვნელობისა და ფუნქციის გათვინობიერება და შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრა.

თავი I. დერივაციული სარჩელის ცნება და როლი საკორპორაციო სამართალში

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საზოგადოების პარტნიორი/აქციონერი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირი. კანონი არ აწესებს რაიმე აკრძალვას და თითოეულ პარტნიორს/აქციონერს ანიჭებს თანაბარ უფლებამოსილებას. მათი უფლებები რეგულირდება ამავე კანონით, თუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. პარტნიორს შეუძლია გაეცნოს საზოგადოების საქმიანობას, მის დოკუმენტაციას, მოითხოვოს სხვა პარტნიორებისაგან ვალდებულებათა შესრულება.⁴ დერივაციული სარჩელის ცნებას და პირდაპირ განმარტებას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს. თუმცა, კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 53-ე მუხლის მე-5 პუნქტის შინაარსობრივი განმარტებიდან გამომდინარე შესაძლოა დავასკვნათ, რომ დერივაციული სარჩელი არის შპს-ის პარტნიორის ან სს-ის აქციონერის უფლება, აღძრას სარჩელი საზოგადოების მიერ მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წარუდგენლობაზე,

⁴ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, დოკ. N577; მიღების თარიღი: 28/10/1994; ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>; მუხ. 24; ბოლოს ნანახია: 01.07.2021 წ.

პარტნიორის/აქციონერის შესაძლებლობა დაიცვას საზოგადოების ინტერესები, მის ნაცვლად და მის სასარგებლოდ, ასევე, წილების გადანაწილების დროს არადომინანტი პარტნიორის დაცვის მექანიზმი საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ უპირატესობის გამოყენების წინააღმდეგ.

როგორც წესი, ხელმძღვანელ პირთა მიმართ მოთხოვნების განხორციელება ისევე საზოგადოების ორგანოების უფლებამოსილება იყო. იმ ორგანოების, რომლებიც შესაძლოა თავად არღვევდნენ გარკვეულ წესებს ან აყენებდნენ ზიანს კორპორაციას.⁵ ვინაიდან აღნიშნული არ იყო საკმარისი ეფექტური შედეგის მისაღებად, დამკვიდრდა და აქტუალური გახდა ე.წ. აქციონერთა სარჩელი, იგივე, დერივაციული სარჩელი. ეთგოს კორპორაციული მართვის პრინციპებით აქციონერული სარჩელის წარდგენის შესაძლებლობის აღიარება წარმოადგენს ინვესტორთა რწმენის გაზრდის საფუძველს და აღიქმება აქციონერთა უფლებების დაცვის რეალურ მექანიზმად, რაც ზოგადად კორპორაციულ მართვაში მცირე აქციონერთა ჩართულობას უზრუნველყოფს და ეფექტური კორპორაციული მართვის მოდელის ჩამოყალიბებაზეც აისახება.⁶

დერივაციული სარჩელი უფლებას აძლევს აქციონერს (ამ უფლებით უმეტესად სწორედ უმცირესობაში მყოფი აქციონერები სარგებლობენ) გააკონტროლოს დირექტორის საქმიანობა. მართალია, ერთი მხრივ, დირექტორი ანგარიშვალდებულია აქციონერის/პარტნიორის წინაშე, თუმცა დერივაციული სარჩელის მიზნებიდან გამომდინარე, აქციონერის/პარტნიორის მთავარი ღირებულება არის კომპანიის სასარგებლოდ მოქმედება და არა საკუთარი ინტერესების გატარება.

⁵ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 411

⁶ მაჭავარიანი ს., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 წ., გვ. 145.

აქციონერები, როგორც წესი, არ არიან უფლებამოსილი ადასრულონ კომპანიის უფლებები, ვინაიდან კომპანია წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს. თუმცა, აქციონერი უფლებამოსილია წარადგინოს სარჩელი როგორც კომპანიის წარმომადგენელმა, კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ. დირექტორები წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს და მის მიმართ გააჩნიათ ვალდებულებები. შესაბამისად, მათ მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ისინი პოტენციურად პირდაპირ ზიანს აყენებენ სწორედ კომპანიას, ხოლო არაპირდაპირ ზიანს – კომპანიასთან დაკავშირებულ სხვა პირებს, აქციონერებს, დასაქმებულებს, კრედიტორებს. შესაბამისად, პირველ რიგში, კომპანიაა უფლებამოსილი, წარადგინოს სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ, მის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო. თუმცა საქმე ისაა, რომ ხშირად კომპანია დირექტორების კონტროლის ქვეშაა და ეს უკანასკნელნი საკუთარი თავის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებით, ცხადია, არ მიიღებენ გადაწყვეტილებას. ითვალისწინებს რა ასეთი შესაძლებლობის არსებობას, საკორპორაციო კანონმდებლობა აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს ანიჭებს უფლებამოსილებას, დამრღვევ დირექტორთა წინააღმდეგ, კორპორაციის ნაცვლად, თავად წარადგინონ სარჩელი.⁷

დერივაციული სარჩელის გამოყენება უზრუნველყოფს, რომ სამართალდარღვევით გამოწვეული ზიანი ანაზღაურებული იქნება კომპანიის სახელით მოქმედი აქციონერის მიერ.⁸

დერივაციული სარჩელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მენეჯმენტისა და აქციონერთა ინტერესების დაახლოება. ასეთი სარჩელი, ერთი მხრივ, ერთგვარი პრევენციაა დირექტორის მხრიდან გადაცდომის საწინააღმდეგოდ, როდესაც მას გააზრებული აქვს, რომ აქციონერი უფლებამოსილია, დირექტორატის გვერდის ავლით, დამოუკიდებლად აღძრას დერივაციული სარჩელი და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მეორე

⁷ ცერცვაძე ლ., დერივაციული სარჩელი-Derivative Lawsuit. ჟ. ადვოკატი, 2015, N1-2, გვ. 69

⁸ იქვე, გვ. 76

მხრივ, დერივატიული სარჩელი ხელს უწყობს ე.წ. აგენტის დანახარჯების (Agency Costs) შემცირებას, კერძოდ, აქციონერთა მხრიდან მენეჯმენტის საქმიანობის მონიტორინგთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას.⁹

დერივატიულ სარჩელს ნაკლოვანებებიც აქვს და მან შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის საქმიანობაზე სხვადასხვა მიზეზთა გამო. კერძოდ:

1. სარჩელის აღძვრის შედეგად, საჯარო ხდება ინფორმაცია, რომელიც კომპანიის იმიჯზე უარყოფითად აისახება. აღნიშნული ფაქტი კი ინვესტიციების მოზიდვას აფერხებს. საერთო ჯამში, შესაძლოა, სამართალწარმოება არც ღირდეს იმ დანაკარგად, რაც შეიძლება კომპანიამ განიცადოს.
2. უცნობია, როგორ დამთავრდება სამართალწარმოება და გამოვა თუ არა გამარჯვებული კომპანია ამ პროცესიდან. არადა, ზემოაღნიშნული უარყოფითი შედეგები, ამის მიუხედავად, უკვე, ცალსახად, სახეზე იქნება.
3. სასამართლო პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია, რომ მოპასუხე დირექტორს უბრალოდ არ ჰქონდეს შესაძლებლობა, აანაზღაუროს ზიანი, რომელიც კომპანიას მიადგამისი ქმედების გამო. შედეგად, სახეზეა გადაწყვეტილება, რომელიც ვერ აღსრულდება, კომპანია ვერ იღებს თანხას და ამის პარალელურად სახეზეა ის უარყოფითი შედეგები, რომლებიც სასამართლო განხილვას ახლავს თან.
4. დირექტორთა წინააღმდეგ სამართალწარმოების შესაძლებლობის გაზრდილმა რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს ამ თანამდებობის დაკავებისაგან თავის შეკავების სურვილი, რაც კომპანიის ხარჯებს გაზრდის ვინაიდან, ვინც დაეთანხმება, დაიკავოს დირექტორის

⁹ ცერცვაძე ლ., დერივატიული სარჩელი-Derivative Lawsuit. ჟ. ადვოკატი, 2015, N1-2, გვ. 77

პოზიცია, მოითხოვს დიდ ანაზღაურებას, დიდი რისკების პროპორციულად.

5. მართალია, უმცირესობაში მყოფ აქციონერს აქვს უფლება აღძრას დერივაციული სარჩელი, მაგრამ ეს ქმნის იმის საშიშროებას, რომ ამ უკანასკნელმა სულაც არ გაითვალისწინოს მთლიანად კომპანიის ინტერესები გრძელვადიან პერსპექტივაში, ვინაიდან მისი წილი არც თუ ისე დიდია.
6. მნიშვნელოვან არგუმენტს, დერივაციული სარჩელის წინააღმდეგ, წარმოადგენს ის გარემოებაც, რომ ამგვარი სარჩელის შესაძლებლობა დირექტორს უკლავს სურვილს, გამოიჩინოს ინიციატივა და მიიღოს სარისკო გადაწყვეტილება კომპანიის მართვის პროცესში, არადა ბიზნეს საქმიანობაში რისკი და მოგების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ხშირად პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან.
7. ცალსახად უნდა ითქვას, რომ სამართალწარმოება არ წარმოადგენს დირექტორატის გადაწყვეტილებისა და საქმიანობის შეფასების ეფექტურ მექანიზმს.
8. პირადი პასუხისმგებლობის გამორიცხვის მიზნით, შესაძლოა, დირექტორის მიერ დაქირავებულ იქნეს ექსპერტთა უფრო ფართო წრე, მეტი თანამშრომელი და მან მეტი დრო მოანდომოს გადაწყვეტილების მიღებას, რაც, ცხადია, გაზრდის კომპანიის ხარჯებს და აისახება მისი საქმიანობის ეფექტურობაზე.

დერივაციული სარჩელის სიხშირემ შესაძლოა, გამოიწვიოს კვალიფიციური კადრების გადინება კომპანიიდან. ამიტომ ასეთი სარჩელის აღძვრამდე კარგად დაფიქრებაა საჭირო იმ აქციონერის მხრიდან, ვისაც მართლაც ადარდებს კომპანიის ბედი. თუმცა კანონმდებლობა მხოლოდ აქციონერების კეთილსინდისიერების იმედად არ ტოვებს კომპანიას და სწორედ ამიტომ არსებობს აშშ-ს, ბრიტანეთისა და გერმანიის კანონმდებლობაში ზემოთხსენებული შემზღუდავი ფაქტორები, რომლებიც დერივაციული

სარჩელის აღძვრის მსურველმა უნდა გადალახოს, სანამ დაიწყება ძირითადი სამართალწარმოება.¹⁰

ამერიკის სამართლის ინსტიტუტის (American law Institute-ALI) მიერ აღიარებულია, რომ დერივაციული სარჩელის დანიშნულება გრძელვადიან პერსპექტივაში უფრო აქციონერთა ინტერესის დაცვაა, ვიდრე კონკრეტულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მიღება, ვინაიდან იგი დირექტორებს უბიძგებს, თავი შეიკავონ გადაცდომისგან, კონკრეტულ შემთხვევაში კი შესაძლოა, სასამართლოს ხარჯები აღემატებოდეს კიდევ ზიანის ანაზღაურების სახით მიღებულ თანხას. ამერიკის სამართლის ინსტიტუტის განმარტების მიხედვით, დერივაციულ სარჩელს ასევე შეუძლია სოციალური საჯარო სარგებლის მოტანა, ვინაიდან მომავალი სამართალდარღვევის პრევენციისკენ არის მიმართული.¹¹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დერივაციული სარჩელის უმთავრეს დანიშნულებას გადაცდომის წინააღმდეგ შემაკავებელი ფუნქცია წარმოადგენს, ვიდრე მისი საშუალებით კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა. ცხადია, აღნიშნული მსჯელობა ისე არ უნდა იქნეს აღქმული, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრას საერთოდ არ აქვს აზრი. პირიქით, კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით, ასეთი სარჩელის წარდგენა შესაძლოა, ერთადერთი სწორი გზა იყოს კომპანიის ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, მსჯელობას მივყავართ დასკვნამდე, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრა უნდა მოხდეს ყოველი კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მათი სათანადოდ შეფასების საფუძველზე. შესაბამისად, არ არსებობს ერთი უნივერსალური ფორმულა

¹⁰ ცერცვაძე ლ., დერივაციული სარჩელი-Derivative Lawsuit. ჟ. ადვოკატი, 2015, N1-2, გვ. 77-78

¹¹ ბექაქური ნ., გელტერი მ., ჯუღელი გ., ცერცვაძე ლ., საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისთვის, ოქტომბერი 2019, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge-corporate-law-handbook.pdf>, გვ. 164

სარჩელის აღძვრის ან მის აღძვრაზე უარი თქმის მიზანშეწონილობის შესახებ.¹²

დასკვნის სახით კი უნდა ითქვას, რომ დერივაციული სარჩელის უმთავრესი დანიშნულება, უფრო მეტად, გადაცდომის წინააღმდეგ შემაკავებელი ფუნქციაა, ვიდრე მისი საშუალებით კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა. ცხადია, ასეთი მსჯელობა ისე არ უნდა იქნეს აღქმული, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრას საერთოდ არ აქვს აზრი. პირიქით, კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით, ასეთი სარჩელის წარდგენა შესაძლოა, ერთადერთი სწორი გზა იყოს კომპანიის ინტერესების დასაცავად.¹³

თავი II. დერივაციული სარჩელის სამართლებრივი მექანიზმები

როგორც უკვე აღვნიშნე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი უშვებს შესაძლებლობას, აქციონერმა/პარტნიორმა აღძვრას დერივაციული სარჩელი ორგანიზაციის მოთხოვნის განსახორციელებად, თუ საზოგადოება არ ახორციელებს თავის მოთხოვნას მესამე პირის მიმართ. მაგრამ კანონი არ აკონკრეტებს თუ ვინ მოიაზრებს „მესამე პირში“ - მხოლოდ ისინი, ვისთანაც კომპანიას აქვს გარკვეული სახელშეკრულებო ურთიერთობა თუ მესამე პირებს განეკუთვნებიან საზოგადოების დირექტორებიც. თუმცა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში¹⁴, რომელსაც სასამართლო პრაქტიკის ნაწილში განვიხილავ, გააკეთა განმარტება და დაუშვა დერივაციული სარჩელების წარდგენა საწარმოს დირექტორების მიმართაც, რაც, ჩემი აზრით, სრულიად მართებულად უნდა შეფასდეს, ვინაიდან საზოგადოების ხელმძღვანელები ვალდებულნი არიან საქმიანობას

¹² ცერცვაძე ლ., დერივაციული სარჩელი-Derivative Lawsuit. ყ. ადვოკატი, 2015, N1-2, გვ.78

¹³ ბექაქური ნ., გელტერი მ., ჯუღელი გ., ცერცვაძე ლ., საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისთვის, ოქტომბერი 2019, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge-corporate-law-handbook.pdf>, გვ. 164

¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-687-658-2016, თბილისი, 2018 წლის 6 ნოემბერი.

გაუძღვნენ კეთილსინდისიერად და მათი ყოველი ქმედება საზოგადოების ინტერესებიდან უნდა იქნეს გამოწვეული, რაც ფიდუციური მოვალეობების სახელით არის ცნობილი. შესაბამისად, თუ საზოგადოების ხელმძღვანელმა არ შეასრულა თავისი მოვალეობები კეთილსინდისიერად და მისი ქმედებები არ იქნა მიმართული კომპანიისთვის სარგებლის მიღებისკენ (და არა აუცილებლად წარმატებისკენ), აუცილებლად უნდა დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი. სწორედ ამ პასუხისმგებლობას ემსახურება დერივაციული სარჩელიც, რომლის სამართლებრივ ჭრილზეც ქვემოთ ვისაუბრებ.

2.1. სარჩელის აღძვრის მიზეზი

დერივაციული სარჩელის შესაძლებლობა ქართულ სამართალში სულ რამდენიმე ხნის წინ დამკვიდრდა. ადრე არსებული მოწესრიგება გამორიცხავდა პარტნიორის სარჩელს საზოგადოების სახელით ხელმძღვანელი პირის წინააღმდეგ და საკითხის გადაწყვეტა მხოლოდ პარტნიორთა კრებაზე იყო შესაძლებელი. გერმანული სამართლის მსგავსად, ცალკეულ პარტნიორს მაინც ჰქონდა შესაძლებლობა, ედავა დირექტორის წინააღმდეგ, მაგრამ ეს იშვიათ შემთხვევას წარმოადგენდა. დერივაციული სარჩელის დაშვება არ უარყოფს, პირველ რიგში, საერთო კრების მიერ მისაღებ გადაწყვეტილებას. პირიქით, საზოგადოების სახელით ხელმძღვანელის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი არის პარტნიორთა კრებაზე ამ საკითხთან დაკავშირებით მისაღები გადაწყვეტილება. ამავ სხდომაზე, როგორც წესი, ინიშნება სპეციალური წარმომადგენელი სადავო ურთიერთობებისათვის. უმცირესობაში მყოფ პარტნიორს კი მას შემდეგ აქვს დერივაციული სარჩელის აღძვრის უფლება, რაც პარტნიორთა კრება ამ უფლებას არ განახორციელებს.¹⁵

¹⁵ ბურდული ი., ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისთვის, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: shorturl.at/mBCOR

დირექტორები წარმოადგენენ კომპანიის ინტერესებს და მის მიმართ აქვთ ვალდებულებანი. შესაბამისად, მათ მიერ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ისინი პოტენციურად პირდაპირ ზიანს აყენებენ სწორედ კომპანიას, ხოლო არაპირდაპირ ზიანს კომპანიასთან დაკავშირებულ სხვა პირებს – აქციონერებს, დასაქმებულებს, კრედიტორებს. შესაბამისად, პირველ რიგში, კომპანიაა უფლებამოსილი, წარადგინოს სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ, მის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო. თუმცა საქმე ისაა, რომ ხშირად კომპანია დირექტორთა კონტროლის ქვეშაა და ეს უკანასკნელნი საკუთარი თავის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენასთან დაკავშირებით, ცხადია, არ მიიღებენ გადაწყვეტილებას. ითვალისწინებს რა ასეთი შესაძლებლობის არსებობას, საკორპორაციო კანონმდებლობა აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს ანიჭებს უფლებამოსილებას, წარადგინოს სარჩელი დამრღვევ დირექტორთა წინააღმდეგ, კორპორაციის ნაცვლად.¹⁶

2.2. დერივაციული სარჩელის აღძვრის წინაპირობები

„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი ცხადად განმარტავს სარჩელის აღძვრის წინაპირობებს. კერძოდ, კანონის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებამ არ განახორციელა საკუთარი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, პარტნიორს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ, თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება პარტნიორის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.“¹⁷

¹⁶ ბექაქური ნ., გელტერი მ., ჯუღელი გ., ცერცვაძე ლ., საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისთვის, ოქტომბერი 2019, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge-corporate-law-handbook.pdf>, გვ. 162

¹⁷ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, დოკ. N577; მიღების თარიღი: 28/10/1994; ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/document/view/28408?publication=69>; მუხ.46, პ.5; ბოლოს ნანახია: 01.07.2021 წ.

ანალოგიური ჩანაწერია აქციონერთა უფლებაზეც კანონის 53-ე მუხლის მე-5 პუნქტშიც.¹⁸ შესაბამისად, იმისთვის, რომ პარტნიორმა/აქციონერმა მიმართოს სასამართლოს უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი პირობები:

- საზოგადოებას არ უნდა ჰქონდეს განხორციელებული საკუთარი მოთხოვნა მე-3 პირის მიმართ;
- პარტნიორმა/აქციონერმა უნდა მიმართოს საზოგადოებას მოთხოვნის განხორციელების თაობაზე;
- პარტნიორის/აქციონერის მოთხოვნიდან გასული უნდა იყოს 90 დღე რეაგირების გარეშე ან პარტნიორს/აქციონერს უნდა მიეცეს დასაბუთებული დასკვნა, რომ ასეთი მოთხოვნის განხორციელება/სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

თუ აღნიშნული სამი წინაპირობა შესრულდა, პარტნიორი/აქციონერი უფლებამოსილია მიმართოს უკვე სასამართლოს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ პირდაპირი ჩანაწერი არ არსებობს, კომპანიათა შესახებ მოდელური აქტის თანახმად (RMBCA), აქციონერმა რომ სარჩელი წარადგინოს კომპანიის სახელით, ორ წინაპირობას უნდა აკმაყოფილებდეს: პირველი, იგი უნდა ფლობდეს აქციებს დირექტორის მიერ გადაცდომის ჩადენის მომენტისათვის და მეორე, აქციონერმა მიმართა კომპანიას აღნიშნული სარჩელის წარდგენის მოთხოვნით, მაგრამ დირექტორატმა უარი განაცხადა სარჩელის წარდგენაზე, ან თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დირექტორატის მხრიდან სარჩელის შეტანისაგან თავის შეკავება. თუკი კომპანიას მესამე პირთა მხრიდან მიადგა ზიანი, დირექტორატია ის უფლებამოსილი ორგანო, ვინც კომპანიის სახელით უნდა წარადგინოს სარჩელი ასეთი პირების წინააღმდეგ და მოითხოვოს ზიანის

¹⁸ თუ სააქციო საზოგადოებამ არ განახორციელა თავისი მოთხოვნა მესამე პირის მიმართ, აქციონერს შეუძლია საზოგადოების ნაცვლად და მის სასარგებლოდ თავისი სახელით შეიტანოს სარჩელი აღნიშნული მოთხოვნის განსახორციელებლად. იგი მიიჩნევა სათანადო მოსარჩელედ, თუ საზოგადოება აქციონერის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის განმავლობაში არ აღძრავს სარჩელს მესამე პირის წინააღმდეგ ან ვერ დაასაბუთებს, რომ ასეთი სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება საზოგადოების ინტერესებს.

ანაზღაურება. მაგრამ თუ კომპანია არ წარადგენს სარჩელს, აქციონერია უფლებამოსილი, წარადგინოს იგი კომპანიის სახელითა და მის ნაცვლად.

ანუ, აქციონერს შეუძლია წარადგინოს დერივაციული სარჩელი თუ იგი:

- ზიანის მიყენების მომენტისათვის აქციონერი იყო;
- სარჩელის წარდგენა წარმოადგენს კომპანიის საუკეთესო ინტერესს, მან წერილობით მოითხოვა კომპანიისგან ასეთი სარჩელის წარდგენა, მაგრამ მისი მოთხოვნის მიუხედავად, კომპანიას სარჩელი არ წარუდგენია და მოთხოვნიდან გასულია 90 დღე.¹⁹

როგორც წესი, აქციონერმა წერილობით უნდა მოითხოვოს დირექტორთა მხრიდან სარჩელის აღძვრა ზიანის მიმყენებლის მიმართ. „მეწარმეთა შესახებ კანონის“ შესაბამისი ნორმები არ ითვალისწინებს მეტად მნიშვნელოვან საკითხს. კერძოდ, თუ დამრღვევი აკონტროლებს კომპანიას, მაშინ კანონი უნდა იძლეოდეს სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას დაუყოვნებლივ და 90 დღე მოცდა აღარ უნდა იყოს საჭირო, ვინაიდან არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ ამ ხნის განმავლობაში შესაძლოა საერთოდაც აზრი დაეკარგოს სარჩელს, დამრღვევის მხრიდან განხორციელებულ ქმედებათა გამო, და მეორე, თუკი დამრღვევი აკონტროლებს კომპანიას (მაგალიათად, წარმოადგენს უმრავლესობაში მყოფ აქციონერს/ პარტნიორს და, ამავდროულად, დირექტორს ამ კომპანიაში), ცხადია, იგი არ მიიღებს გადაწყვეტილებას საკუთარი თავის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის შესახებ, შესაბამისად, 90-დღიანი მოლოდინის რეჟიმიც აბსოლუტურად უადგილოა ასეთ შემთხვევებში.²⁰

2.3. დერივაციული სარჩელის აღძვრის სუბიექტი

¹⁹ ცერცვაძე ლ., დერივაციული სარჩელი-Derivative Lawsuit. ჟ. ადვოკატი, 2015, N1-2, გვ. 70

²⁰ ცერცვაძე ლ., დერივაციული სარჩელი-Derivative Lawsuit. ჟ. ადვოკატი, 2015, N1-2, გვ. 72-73

დერივაციული სარჩელის შეტანისათვის სარჩელის შემტანი პირი უნდა წარმოადგენდეს აქციონერს/პარტნიორს იმ დროისათვის, როცა კომპანიას მიაღდა ზიანი და იგი აქციონერი/პარტნიორი უნდა იყოს სარჩელის შეტანის დროისათვისაც. ამასთან, სარჩელის შეტანამდე აქციონერმა ბორდს უნდა წარუდგინოს მოთხოვნა სარჩელის შეტანის შესახებ. სარჩელის დასაშვებობის რთული პროცედურაა გაწერილი კანონით როგორც გერმანიაში, ისე აშშ-შიც. შესაძლებელია დერივაციული პროცესი არ იქნეს შენარჩუნებული და შეწყდეს სასამართლოს მიერ თუ აღმოჩნდება, რომ მოსარჩელე არასამართლიანად ან არაადეკვატურად იცავს საზოგადოების ან/და მისი პარტნიორების ინტერესებს.²¹

ვინაიდან დირექტორებს ვალდებულება აქვთ საწარმოს მიმართ, ამ ვალდებულებათა დარღვევის გამო „დამნაშავე“ დირექტორის წინააღმდეგ სარჩელის წარდგენის უფლება სწორედ კომპანიას გააჩნია. ხოლო თუკი კომპანიას არ შეუძლია ან არ გამოთქვამს სურვილს უჩივლოს „დამნაშავე“ დირექტორს (რაც, ძირითადად, მაშინ ხდება როდესაც ეს უკანასკნელი აკონტროლებს კომპანიას) ასეთ შემთხვევებში აქციონერები/პარტნიორები, წილის მფლობელები არიან ის პირები, რომლებსაც უფლება აქვთ წარადგინონ დერივაციული სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ საკუთარი სახელით, მაგრამ კომპანიის ნაცვლად.²²

2.4. დერივაციული სარჩელის აღძვრის პროცესუალური ეტაპების მიმოხილვა

მეცნიერები ცალსახად აღიარებენ დერივაციული სარჩელის არსებობის აუცილებლობას და, ამასთან, განსაზღვრავენ მისი დასაშვებობის რთული

²¹ მაჰავარიანი ს., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 წ., გვ. 146

²² ცერცვაძე ლ., დერივაციული სარჩელი-Derivative Lawsuit. ჟ. ადვოკატი, 2015, N1-2, გვ. 71

პროცედურის გარდაუვალობას. არსებობს მოსაზრება, რომ თუ აქციონერი საერთო კრებას მიმართავს და მიიღებს უარს სარჩელის წარდგენაზე, ეს აქციონერს სარჩელის წარდგენის უფლებას შეიძლება საერთოდ ართმევდეს. ზოგიერთი მეცნიერის აზრით კი, საერთო კრებისათვის მიმართვა არ უნდა წარმოადგენდეს სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას, თუ მისთვის წინასწარ სავარაუდო იყო, რომ მას შედეგი არ მოჰყვება.²³ საკითხის საკანონმდებლო მოწესრიგების (კანონის 46.5 და 53.5 მუხლები) მიხედვით, თუ აქციონერი/პარტნიორი დააკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ წინაპირობებს, კანონი არ ართმევს მას შესაძლებლობას სარჩელის აღძვრისა. თუმცა, საბოლოო შედეგის სახით შესაძლოა მივიღოთ ის, რომ მოსამართლემ არ ჩათვალოს მიზანშეწონილად კონკრეტული მოთხოვნის წარდგენა, კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და აქციონერი/პარტნიორი, ფაქტობრივად, დარჩეს უფლების რეალიზაციის გარეშე. შესაბამისად, სამწუხაროდ, საჭირო ხდება აღნიშნული საკითხის საკანონმდებლო დონეზე დაზუსტება და განმარტება.

ამასთან, კანონის დასახელებული ნორმები ორ ალტერნატივას უტოვებს კომპანიას. ვინაიდან კომპანიას წარმოადგენს დირექტორატი, შესაბამისად, ამ ორგანოს აქვს ორი ალტერნატივა: პირველი, აღძვრას დერივაციული სარჩელი დამრღვევის მიმართ, ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 90 დღის ვადაში და, მეორე, ამავე ვადაში დაასაბუთოს, რომ დერივაციული სარჩელის აღძვრა ეწინააღმდეგება კომპანიის ინტერესებს. თუკი 90 დღეში საზოგადოება არ წარადგენს სარჩელს, რომლის აღძვრასაც პარტნიორი/აქციონერი ითხოვს და არც კრების მიერ იქნება სათანადო გადაწყვეტილება მიღებული, მაშინ უკვე სასამართლომ უნდა იმსჯელოს წინასწარ ჯერ იმის თაობაზე, რამდენად მიზანშეწონილია სარჩელის აღძვრა კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, მოუსმინოს ორივე მხარეს და მხარეთა მოსმენის და ფაქტების

²³ მაჭავარიანი ს., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 წ., გვ. 147

შეფასების შემდეგ, მიიღოს გადაწყვეტილება, დაიწყოს არსებითი განხილვა თუ – არა.²⁴

სასამართლო უარს იტყვის დერივაციული სარჩელის განხილვაზე, თუკი დამოუკიდებელი(არადაინტერესებული) დირექტორების უმრავლესობის ან სასამართლოს მიერ დანიშნულ დამოუკიდებელ პირთა მიერ წარმოდგენილ იქნება დასკვნა, რომ დერივაციული სარჩელი არ ემსახურება კომპანიის საუკეთესო ინტერესებს. ამგვარი გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს კეთილსინდისიერად, საქმის სათანადოდ, გონივრულად შესწავლისა და გამოძიების საფუძველზე.²⁵

ამასთან, სასამართლოს უფლება არ აქვს, *ex officio* დირექტორთა გადაწყვეტილება ეჭვქვეშ დააყენოს.²⁶ თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ აქციონერი მაინც გადაწყვეტს დერივაციული სარჩელის აღძვრას მესამე პირთა წინააღმდეგ, საპროცესო წარმატებისთვის მან უნდა დაამტკიცოს, რომ: 1. გადაწყვეტილების მიმღებ დირექტორთა უმრავლესობა დამოუკიდებელი არ არის და 2. გადაწყვეტილების მიღების პროცესში კეთილსინდისიერების და გათვითცნობიერებულობის მოთხოვნები დაირღვა.²⁷

ლადო ჭანტურია თავის წიგნში „კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში“ კომისიის გადაწყვეტილების სავალდებულოობას რამდენიმე შტატის მაგალითზე განიხილავს. მაგალითად, ერთის მხრივ ასახელებს ნიუ იორკის უმაღლეს სასამართლოს, რომლის აზრითაც კომისიის გადაწყვეტილება არის სავალდებულო და მასზე ვრცელდება Business Judgment Rule. მეორეს მხრივ ავითარებს დელავერის სასამართლოს პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც არ

²⁴ ცერცვაძე ლ., დერივაციული სარჩელი-Derivative Lawsuit. ე. ადვოკატი, 2015, N1-2, გვ. 72

²⁵ იქვე, გვ. 70

²⁶ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამომცემლობა „სიესტა“, 2010, გვ. 176.

²⁷ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამომცემლობა „სიესტა“, 2010, გვ. 176.

არის კომისიის გადაწყვეტილება საბოლოო და სასამართლომ უნდა შეამოწმოს კომისიის მიუკერძოებლობა პირველ რიგში და ამის შემდგომ ის, თუ რამდენად შეესაბამება კომისიის უარი კორპორაციის ინტერესებს.²⁸

განხილული მოსაზრებების გაანალიზების საფუძველზე, დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ მიუხედავად კომისიის, საბჭოს, ბორდის, პარტნიორების თუ ნებისმიერი სხვა ორგანოს შუალედური გადაწყვეტილება არ უნდა გახდეს აპრიორი სასამართლოსთვის სავალდებულო და მან აუცილებლად უნდა შეამოწმოს მათი დამოუკიდებლობა და კეთილსინდისიერება სარჩელის დასაშვებად/დაუშვებლად ცნობამდე.

2.5. მტკიცების ტვირთი

ქართული კანონმდებლობისა და სამართლებრივი პრინციპების თანახმად, სამოქალაქო პროცესში ვხვდებით შეჯიბრებითობის პრინციპს²⁹, როდესაც თითოეული მხარე თავის პოზიციას ამყარებს მტკიცებულებებსა და არგუმენტებს და საბოლოო შედეგიც დამოკიდებულია მათ შესაძლებლობაზე. სამეწარმეო სამართალი რამე განსხვავებულ ან კონკრეტულ მიდგომას არ გვთავაზობს. თუმცა, ქართული სასამართლო პრაქტიკა ყოველთვის დიდ ყურადღებას ამახვილებს მტკიცების ტვირთის განაწილებაზე. საკმაოდ მნიშვნელოვანია მტკიცების ტვირთი დერივაციული სარჩელის განხილვისას. მაშინ, როდესაც აქციონერის/პარტნიორის სარჩელი იქნება დასაშვები, სასამართლო პროცესებზე ლოგიკურად სარჩელის ავტორს/ავტორებს მოუწევთ იმის მტკიცება, რომ საზოგადოების ხელმძღვანელი მოიქცა არაკეთილსინდისიერად.

²⁸ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006,

²⁹ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, მიღების თარიღი: 14.11.1997 წ. დოკ. N1106, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <https://matsne.gov.ge/document/view/29962?publication=146> , მე-4 მუხლი, ბოლოს ნაწილი: 01.07.2021 წ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასამართლოს უფლება არ აქვს, *ex officio* დირექტორთა გადაწყვეტილება ეჭვქვეშ დააყენოს. თუკი, დამოუკიდებელ დირექტორთა უარყოფითი გადაწყვეტილების მიუხედავად, აქციონერი დერივაციული პროცესის წარმოებას მაინც გადაწყვეტს, საპროცესო წარმატებისათვის მან უნდა დაამტკიცოს, რომ: (I) გადაწყვეტილების მიმღებ დირექტორთა უმრავლესობა დამოუკიდებელი არ არის ან (II) გადაწყვეტილების მიღების პროცესში კეთილსინდისიერებისა და გათვითცნობიერებულობის მოთხოვნები დაირღვა. პირველი მათგანი გადაწყვეტილების მიღებასთან დირექტორთა სუბიექტურ დამოკიდებულებას მოიცავს; მეორე კი ობიექტურ (პროცედურულ) მხარეს ეხება და გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას საკითხის სათანადო შესწავლის საფუძველზე. ამასთანავე, პირველი წინაპირობა მტკიცების ტვირთის შემდგომ განაწილებას წარმოშობს. კერძოდ, თუკი დირექტორთა დამოუკიდებლობის ნაკლი დადგინდა, მათ უნდა დაამტკიცონ, რომ თავად გადაწყვეტილების ხარისხზე მიკერძოებას გავლენა არ მოუხდენია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი კვლავ მოსარჩელის მხარეს რჩება.³⁰

განსხვავებულად უყურებს მტკიცების ტვირთს ლადო ჭანტურია. გერმანულ საკორპორაციო სამართალში მტკიცების ტვირთი ეკისრებათ სააქციო საზოგადოების გამგეობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და შპს-ს ხელმძღვანელებს. ეს პრინციპი გერმანულ სამართალში მტკიცების ტვირთის შებრუნების სახელით არის ცნობილი. ხელმძღვანელებისთვის მტკიცების ტვირთის დაკისრებას გერმანულ სამართალში საფუძველად ის გარემოება უდევს, რომ საზოგადოება რეალურად მოკლებულია თავისი მოთხოვნების გასამაგრებლად მტკიცებულებების წარდგენის შესაძლებლობას, ვინაიდან საზოგადოების მთელი დოკუმენტაცია, საქმიანობის დეტალები და სხვა

³⁰ ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამომცემლობა „სიესტა“, 2010, გვ. 176.

ფაქტები პრაქტიკულად ხელმძღვანელთა ხელში იმყოფება.³¹ მიუხედავად ამისა, იმის მიხედვით, თუ რას ეხება დავა ხელმძღვანელებსა და აქციონერებს/პარტნიორებს შორის, მტკიცების ტვირთი შესაძლოა განაწილდეს სხვაგვარადაც.

აბსოლიტურად სხვაგვარი მიდგომაა აშშ-ში. ამერიკაში არსებობს ე.წ. „Pre-Trial Discovery“, რაც წარმოადგენს ცალკე პროცესს მთავარ სასამართლო პროცესამდე და სწორედ ამ პროცესზე მხარეების მიერ ხდება ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, თუმცა ეს არ გულისხმობს კონკრეტული დოკუმენტის გამოთხოვას. Discovery-ს საგანს წარმოადგენს ნებისმიერ ინფორმაცია, რომელიც თითოეულ მხარეს შესაძლოა გამოადგეს მტკიცებულებად. შესაბამისად, სწორედ იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელეს შესაძლებლობა აქვს ამ სტადიაზე მოიპოვოს მტკიცებულებები როგორც დირექტორების, ისე კორპორაციის საქმიანობის სფეროდან, მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხი არ თამაშობს რაიმე მნიშვნელოვან როლს. უფრო დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის არის საკითხი იმის თაობაზე, საერთოდ მიუწვდება თუ არა ხელი მოსარჩელეს pre-trial discovery-ის სტადიაზე. განსაკუთრებით რთულია ეს აქციონერთა სარჩელთან დაკავშირებით, რომელსაც, როგორც უკვე ვნახეთ, საკმაოდ ბევრი სტადიის გავლა უწევს, ვიდრე ეს სასამართლომდე მიაღწევს.³²

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სამართლის მსგავსი რეგულირება არის ქართულ საკორპორაციო სამართალშიც. იქიდან გამომდინარე, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი განამტკიცდებს დირექტორების მიერ მოვალეობათა დარღვევის პრეზუმფციას, მოსარჩელე საზოგადოებას არ მოეთხოვნება იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც მის სარჩელში მოცემულ მოთხოვნას ამაგრებს. პირიქით, დირექტორებმა უნდა წარადგინონ ის მტკიცებულებები, რომლებიც მათ არაბრალეულობას

³¹ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 456

³² ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 460-461

და მათ მიერ მოვალეობათა შესრულებას ადასტურებენ.³³ მაგრამ, ამავდროულად გასათვალისწინებელია Business Judgement Rule-ის სტანდარტები, რა დროსაც ივარაუდება, რომ დირექტორების მიერ გადაწყვეტილება მიღებულია საკმარისი ინფორმაციის საფუძველზე და გადაწყვეტილების მიღების პროცედურის სრული დაცვით, რაც იმას ნიშნავს, რომ მტკიცების ტვირთი ეკისრება მოსარჩელეს.³⁴

აქვე მინდა შევეხო თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას,³⁵ რომელშიც სასამართლო განმარტავს, რომ კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდა კორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი მათ ეკისრებათ. ე.ი. დირექტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც მიადგა საზოგადოებას და რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით, რაც, კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ არ განხორციელებულა.

რომ შევაჯამოთ, ქართული სასამართლო პრაქტიკა მტკიცების ტვირთს მაინც საზოგადოების ხელმძღვანელებს აკისრებს. თუმცა, უფრო ლოგიკურად და ობიექტურად მიმაჩნია, პირველ რიგში დადგინდეს მიკერძოებულობის საკითხი და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდეს თუ რომელ მხარეს დაეკისრება მტკიცების ტვირთი.

³³ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 460

³⁴ იქვე, გვ. 462

³⁵ თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №2/6722-12, №6.2, თბილისი, 16.05.2014წ.

2.6. დერივაციული სარჩელის წარმოქმნის პრევენციის მექანიზმები

მიუხედავად იმისა, რომ დერივაციულ სარჩელთა რაოდენობა ისედაც ძალიან მცირეა, ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების თვალსაზრისით, უმჯობესია იმდენად გამყარდეს საზოგადოების ხელმძღვანელთა და მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულებები, რომ წინასწარ მოხდეს დერივაციული სარჩელების წარმოქმნის პრევენცია.

მომჩივან კომპანიასა და დირექტორს შორის დერივაციული სარჩელების წარმოქმნის პრევენციის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომ გაძლიერდეს სამეთვალყურეო საბჭოს, პარტნიორთა კრების როლი, უფრო კონკრეტულად კი ჩამოყალიბდეს სულ მცირე ერთი დამოუკიდებელი წევრით. მსგავსი დასკვნა გამომდინარეობს იმ ფაქტორიდან, რომ საბჭოს, როგორც კანონისმიერი, ასევე კორპორაციული მართვის სფეროში არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული ფუნქციაა, რომ მან დააკომპლექტოს კომპანიის დირექტორატის შემადგენლობა და აკონტროლოს მისი საქმიანობა, რადგანაც ნეიტრალურად განწყობილი საბჭო უფრო მაღალი ხარისხით იცავს როგორც აქციონერებს, ასევე „კეთილსინდისიერ და გულმოდგინე“ დირექტორებს.³⁶

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მიმაჩნია საზოგადოების საქმიანობის გამჭვირვალობა პარტნიორებისა და აქციონერებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ კანონი დირექტორის მოვალეობებშიც კი ითვალისწინებს წლიური ანგარიშების წარდგენასა და მოთხოვნის შემთხვევაში სხვადასხვა დოკუმენტაციის გაცნობას, ეს ჩანაწერი არ უნდა რჩებოდეს ფორმალურად და კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე, ყველა მხარე, ერთობლივად უნდა ცდილობდეს თავიანთი მოვალეობების რეალიზაციას.

³⁶ <https://bm.ge/ka/article/korporaciuli-martvis-farglebshi-warmoqmnili-sasamartlo-davebis-taviseburebebi-/34373>

ასევე, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია დირექტორის სწორად შერჩევა. საწარმოს ხელმძღვანელი უნდა იყოს ერთი მხრივ, დამოუკიდებელი პირი და, მეორე მხრივ, კონკრეტული საქმიანობით დაინტერესებული, რომელიც ფიდუციურ ვალდებულებებს შეასრულებს გულმოდგინებით და პარალელურად ექნება პასუხისმგებლობის განცდაც.

ამასთან, მნიშვნელოვნად მიმაჩნია საკანონმდებლო ნორმების დახვეწა, მათ შორის, 90 დღიანი ვადის შემცირება ან საერთოდ გაუქმება, რათა დირექტორს ჰქონდეს მეტი „შიში“, რომ მისი გვერდის ავლით, პარტნიორს/აქციონერს ექნება შესაძლებლობა, კომპანიის სახელით და მის სასარგებლოდ დააყენოს პირდაპირი მოთხოვნა მესამე პირ(ებ)ის მიმართ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავად დერივაციულ სარჩელსაც აქვს პრევენციული ხასიათი ხელმძღვანელი პირების მიმართ გადაცდომისაგან თავის შეკავების თვალსაზრისით.

თავი III. დერივაციული სარჩელის საკანონმდებლო მოწესრიგება გერმანიაში და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

გერმანიის კანონმდებლობა 2005 წლამდე, სანამ მიღებული იქნებოდა საწარმოს შეუვალობისა და გასაჩივრების უფლების მოდერნიზების შესახებ კანონი, აქციონერული სარჩელის კონკრეტულ რეგულაციას არ იცნობდა. ამ დრომდე დირექტორატის წინააღმდეგ სარჩელის შეტანის უფლება ჰქონდა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს და ისიც საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე. ხსენებული კანონით აქციონერებს მიენიჭათ უფლება სასამართლოში წარადგინონ სარჩელი მხოლოდ იმ მოთხოვნების თაობაზე, რომელიც საზოგადოებას აქვს გამგეობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიმართ (ამდენად, ნებისმიერი მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობაზე, რაც აშშ-ის კანონმდებლობით დაშვებულია, გერმანულმა სამართალმა უარი

განაცხადა).³⁷ 2005 წელს განხორციელებული ცვლილებების მიხედვით კი, სააქციო საზოგადოების ორგანოების წინააღმდეგ სარჩელის დასაშვებობის ინიცირების უფლება აქვთ საწესდებო კაპიტალის 1%-ის ან 100 000 ევროს მფლობელ აქციონერებს.³⁸

გერმანიის სააქციო კანონის 117-ე პარაგრაფის შესაბამისად, ზიანის მოთხოვნის უფლება აქვს საზოგადოებას დირექტორატის მეშვეობით და არა – ცალკეულ აქციონერს. თავად აქციონერს დამოუკიდებლად არ აქვს უფლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა წაუყენოს ზიანის მიმყენებელს, ამისათვის მან, თავდაპირველად, უნდა მიმართოს საზოგადოების დირექტორატს, როგორც ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით ორგანოს. ვინაიდან გერმანიას ორსაფეხურიანი მართვის სისტემა აქვს, სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია ვალდებულება (და არა დისკრეცია), წარადგინოს სარჩელი დირექტორის წინააღმდეგ, რათა თავიდან აიცილოს საკუთარი პასუხისმგებლობა კომპანიის მიმართ.³⁹

ე.წ. მმარცველი აქციონერების მხრიდან სარჩელის უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, აქციონერთა სარჩელის დასაშვებობის შემოწმების შემდეგი პროცედურა არსებობს გერმანიაში:

1. აქციონერებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ აქციები მანამდე შეიძინეს, ვიდრე ისინი საჯარო პუბლიკაციის საფუძველზე შეიტყობდნენ სავარაუდო დარღვევის ან სავარაუდო ზიანის თაობაზე;
2. აქციონერებმა უნდა დაადასტურონ, რომ მათ შესატყვისი ვადის დაწესებით უკვე მოუწოდეს საზოგადოებას, რომ სარჩელი თვითვონვე შეეტანა, მაგრამ ეს მოწოდება უშედეგოდ დამთავრდა;
3. სასამართლომ სარჩელი დასაშვებად უნდა მიიჩნიოს, თუკი არსებობს ისეთი ფაქტები, რომლებიც ეჭვს ამყარებენ, რომ საზოგადოებას

³⁷ მაქსვარიანი ს., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 წ., გვ. 146

³⁸ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 424

³⁹ ცერცვაძე ლ., დერივატიული სარჩელი-Derivative Lawsuit. ყ. ადვოკატი, 2015, N1-2, გვ. 71

კანონის ან წესდების უხეში დარღვევის ან არაკეთილსინდისიერი მოქმედების შედეგად ზიანი მიადგა;

4. სარჩელი დასაშვებად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუკი იგი არ ეწინააღმდეგება საზოგადოების კეთილდღეობის ინტერესებს.⁴⁰

იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოების მიერ სარჩელის შეტანის შემთხვევაში დასაშვებობის პროცედურა არ ტარდება და პირდაპირ სასარჩელო წარმოება იწყება, თუ საზოგადოებამდე აქციონერს აქვს მიმართული სასამართლოსთვის, აქციონერის სარჩელი დაუშვებლად მიიჩნევა როგორც დასაშვებობის, ასევე სასამართლოს განხილვის ეტაპზე.⁴¹ ანუ, კანონი პრივილეგიას ანიჭებს საზოგადოებას და არა აქციონერს. რაც შეეხება აქციონერის სარჩელს, მან განაცხადის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში უნდა მიმართოს სასამართლოს.

სასამართლო და საადვოკატო ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით გერმანიას აქვს შემდეგნაირი მიდგომა. სარჩელის დაშვების პროცესთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრებათ განცხადების შემტან აქციონერებს, თუ სასამართლო არ დააკმაყოფილებს მათ განაცხადს, ხოლო თუ დასაშვებობაზე უარი გამოწვეულია კორპორაციის კეთილდღეობიდან გამომდინარე, რომლის თაობაზე საზოგადოებას უნდა განეცხადებინა დასაშვებობის პროცედურის დაწყებამდე, მაშინ განმცხადებელს ხარჯებს უნაზღაურებს საზოგადოება. რაც შეეხება სასამართლო პროცესის ხარჯებს, თუ იგი გაიმართა, ხარჯების საკითხიც წყდება საბოლოო გადაწყვეტილებით.⁴²

გერმანული სისტემისთვის დამახასიათებელია აქციონერთა სარჩელის გამჭირვალობა. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, საზოგადოებას ეკისრება

⁴⁰ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 425-427

⁴¹ იქვე, გვ. 427

⁴² იქვე, გვ. 429

ვალდებულება ბირჟაზე რეგისტრირებული სააქციო საზოგადოებებისათვის გამოაქვეყნოს სარჩელის დაშვების შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და სასამართლო პროცესის დასრულების შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ემსახურება იმის უზრუნველყოფას, რომ არ მოხდეს ფარული ან სხვაგვარი გარიგებები სარჩელის შემტან აქციონერებსა და საზოგადოებას შორის.⁴³

გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, სამეთვალყურეო საბჭო წარმოადგენს კორპორაციის ვიზას მმართველი საბჭოს წევრების მიმართ . ე.წ. ორსაფეხურიან ბორდის მოდელი მიზნად ისახავს ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილებას მენეჯმენტისა და ზედამხედველობის ფუნქციებს შორის. სამეთვალყურეო საბჭო ასევე პასუხისმგებელია მმართველი საბჭოს წევრების დანიშნვაზე. ზედამხედველ დირექტორებს ირიბი პასუხისმგებლობა აქვთ მართვის ორგანოს გადაწყვეტილებებზე. დირექტორების გადაწყვეტილებები, რომლებიც იწვევს დავას ცუდად გამოაჩენს სამეთვალყურეო საბჭოს და შეიძლება პასუხისმგებლობა გამოიწვიოს ცუდი ზედამხედველობის გამო. იგივე ითქმის, როდესაც პოტენციური მოპასუხე არის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ამ შემთხვევაში მენეჯმენტმა, რომელიც წარმოადგენს კომპანიას, ნაკლებ სავარაუდოა უკბინოს ხელს, რომელიც მას კვებავს. ურთიერთდაკავშირებული დირექტორატები და გარდაუვალი სოციალური ურთიერთობები დირექტორებს შორის კიდევ უფრო აფართოვებს სააღსრულებო უფსკრულს.⁴⁴

აქციონერთა დავა შეიძლება არ იყოს სიკეთის მომტანი კორპორაციისთვის, მაშინაც კი, თუ კონკრეტული სასარჩელო წარმოება მომგებიანია. სარჩელმა შეიძლება შექმნას უარყოფითი საჯარო განწყობა, რაც ამცირებს გაყიდვებს ან იწვევს სკეპტიციზმს მომწოდებლებსა და მომხმარებლებში. დერივაციული

⁴³ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 429

⁴⁴ Martin Gelter, Why do Shareholder Derivative Suits Remain Rare in Continental Europe, Fordham Law School FLASH: The Fordham Law Archive of Scholarship and History, გვ 850

სარჩელის დროს აუცილებელია აიწონოს მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, გადაწყვეტილების მიღება დავის დაწყებაზე ძალიან ჰგავს სხვა ბიზნეს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჩვეულებრივ იღებს მენეჯმენტი.⁴⁵

დერივაციული დავის სირთულის განსაზღვრა შესაძლებელია ოთხი საკითხის განხილვით, ე.წ. ანა კარენინას ანალოგიური პრინციპით: 1) უნდა არსებობდეს შესაფერისი მოთხოვნები, რომელიც არ აწესებს მინიმალურ ბარიერს ; 2) დავის რისკი მინორიტარი აქციონერებისთვის უნდა იყოს დასაძლევია; 3) პოტენციურ მოსარჩელებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი ინფორმაცია დავის წარმოების დასაწყებად; და 4) აღსრულების მოდელი უნდა იყოს ისეთი, რომ აქციონერებს შეეძლოთ აწარმოონ დერივაციული სარჩელი პოტენციური დამრღვევების მიმართ, რომლებიც შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ დირექტორები, არამედ მაკონტროლებელი აქციონერებიც.⁴⁶

გერმანული კანონი შთაგონებულ იქნა აშშ-ის კანონმდებლობით, განსაკუთრებით კომპანიისთვის სარჩელის აღძვრის თაობაზე მოთხოვნის წარდგენის წინაპირობის თვალსაზრისით. სავარაუდოდ, ჩამონათვალის მესამე მოთხოვნა,- კერძოდ, მნიშვნელოვანი დარღვევის დადგენის მოთხოვნა, – დიდ ბარიერს ქმნის აქციონერებისთვის. ასევე, ბარიერს ქმნის მოთხოვნა აქციათა მინიმალური ოდენობის ფლობის შესახებ, იმის მიუხედავად, რომ ეს ზღვარი არ არის ისეთი მაღალი, როგორც ტრადიციული მექანიზმის შემთხვევაში. ჯერჯერობით, ახალი მექანიზმი აპრობირებულ იქნა ერთ გასაჯაროებულ საქმეში – LG München I 29.3.2007.269 როგორც ამ საქმიდან დგინდება, სასამართლომ საკმაოდ მაღალი სტანდარტი დააწესა „კანონის მნიშვნელოვანი დარღვევისთვის“ და, ამდენად, უარი თქვა სასარჩელო წარმოების გაგრძელებაზე.⁴⁷

⁴⁵ Martin Gelter, Why do Shareholder Derivative Suits Remain Rare in Continental Europe, Fordham Law School FLASH: The Fordham Law Archive of Scholarship and History, გვ 852-853

⁴⁶ Martin Gelter, Why do Shareholder Derivative Suits Remain Rare in Continental Europe, Fordham Law School FLASH: The Fordham Law Archive of Scholarship and History, გვ 856

⁴⁷ ბექაქური ნ., გელტერი მ., ჯუღელი გ., ცერცვაძე ლ., საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისთვის, ოქტომბერი 2019, ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://lawlibrary.info/ge/books/2019giz-ge-corporate-law-handbook.pdf>, გვ. 160.

თავი IV. დერივაციული სარჩელის საკანონმდებლო მოწესრიგება აშშ-ში და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

დერივაციული სარჩელი დასაშვებადაა მიჩნეული აშშ-ის ცალკეულ შტატებში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის შუა წლებიდან. ხსენებული ტიპის სარჩელის დასაშვებობის წესები, როგორც წესი, დადგენილია არა შტატის საკორპორაციო აქტებით, არამედ საპროცესო კანონმდებლობით, ზოგ შტატში კი გვხვდება როგორც საპროცესო, ისე საკორპორაციო აქტებშიც, რის გამოც მას საპროცესო სამართლის ინსტიტუტსაც უწოდებენ.⁴⁸ აქციონერთა დერივაციული სარჩელის ძლიერი ინსტიტუტის არსებობას იმით ხსნიან, რომ ამერიკის საკორპორაციო სამართალი არ იცნობს სამეთვალყურეო საბჭოს, რომელსაც აქვს გამგეობის საქმიანობის გაკონტროლებისა და ასევე კორპორაციის სახელით სასამართლოში სარჩელის შეტანის უფლება.⁴⁹

ამერიკაში აქციონერთა დერივაციული სარჩელი მჭიდროდ არის დაკავშირებული საკორპორაციო სამართალთან, მაგრამ, ამავე დროს, ეს არის საპროცესო სამართლის ინსტიტუტი. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი მოწესრიგებულია როგორც საკორპორაციო კანონმდებლობით, ასევე საპროცესო კანონმდებლობითაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკის ფედერალური კანონმდებლობის მნიშვნელობა, რაც განასხვავებს მას ჩვეულებრივი საკორპორაციო სამართლისგან, რომლის მიმართ ფედერალური კანონმდებლობის როლი პრაქტიკულად უმნიშვნელოა.⁵⁰

აშშ-ის მეცნიერებაში მსჯელობენ იმაზეც, რომ დერივაციული სარჩელის წარდგენა შესაძლებელია არა მხოლოდ დამდგარი ზიანის საფუძველზე, არამედ მოსალოდნელი ზიანის თავიდან ასაცილებლადაც, თუმცა აშშ-ის

⁴⁸ მაქავარიანი ს., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 წ., გვ. 145-146

⁴⁹ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 415

⁵⁰ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 417

სასამართლოებში დერივაციული სარჩელის კლასიკურ და წარმატებულ ფორმად მაინც დამდგარი ზიანიდან გამომდინარე სარჩელები აღიქმევა, ვიდრე სამომავლო ზიანთან დაკავშირებით აღძრული დავები. სასამართლოები, პირველ რიგში, აღნიშნულის გარკვევას ახდენენ, რეალურად რა სახისაა სარჩელი (დერივაციული თუ პირდაპირი) და მის საფუძველზე ითხოვენ დასაშვებობის პირობების დაცვასაც.

აშშ-ის სამართალში ათწლეულების განმავლობაში განვითარებულმა პრაქტიკამ დერივაციული სარჩელთან მიმართებით დაამკვიდრა მისი განმსაზღვრელი ფაქტორები, ამ ტიპის სარჩელის დასაშვებობის წინაპირობები, გადაწყვეტის ოპტიმალური გზები, რაც მნიშვნელოვანია სამართლის განვითარების ეტაპზე მყოფი ნებისმიერი ქვეყნისათვის.⁵¹

კორპორაციის კუთვნილი მოთხოვნების განხორციელების მოვალეობა ჩვეულებრივ დირექტორებს აკისრიათ, თუმცა დერივაციული სარჩელის არსიდან გამომდინარე, კორპორაციის მოთხოვნების საკუთარი სახელით წარდგენის უფლება აქციონერებსაც გააჩნიათ. აშშ-ში დერივაციული (არაპირდაპირი) სარჩელები გამოიყენება ბორდი წევრებისა და მენეჯერების წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი არღვევენ ფიდუციურ მოვალეობებს და ამით ზიანი ადგება კორპორაციას, ასევე სხვა მესამე პირთა მიმართ.⁵²

სამართლებრივი პრაქტიკის თვალსაზრისით, აქციონერთა დერივაციული სარჩელი ამერიკაში კამათის საგანი ხდება. ერთი მხრივ, იგი ითვლება დირექტორთა თითქმის შეუზღუდავი ძალაუფლების აუცილებელ კორექტივად და მნიშვნელოვან ინსტრუმენტად დირექტორების გულმოდგინე ხელმძღვანეობისა და ერთგულების მოვალეობათა განსახორციელებლად. ამის სასარგებლოდ მოჰყავთ ის ფაქტი, რომ

⁵¹ მაჰკავარიანი ს., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 წ., გვ. 147

⁵² ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 415

ამერიკული კორპორაციული მართვის სამართალი პრაქტიკულად აქციონერთა სარჩელების საფუძველზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად ჩამოყალიბდა. მეორე მხრივ, უდავოა ისიც, რომ ხშირად ხდება ამ უფლების ბოროტად გამოყენებაც და კორპორაციის მიერ გარკვეული საზღაურის გადახდის შემდეგ აქციონერთა წარმომადგენლებს სარჩელი უკანვე გააქვთ.⁵³

ფედერალური საპროცესო კანონი განამტკიცებს აქციონერთა დერივაციული სარჩელის რამდენიმე წინაპირობას. კერძოდ:

1. სარჩელის შემტანი აქციონერი უნდა წარმოადგენდეს კორპორაციის აქციონერს იმ მომენტისთვის, როცა კორპორაციას მიაღვა ზიანი, თუმცა ზოგიერთ შტატში აქციონერად ყოფნა სარჩელის შესატანად არ არის სავალდებულო. ასევე, არ არის სავალდებულო აქციონერად ყოფნა თუ აქციები შეძენილია დარღვევის დაწყების შემდეგ, მაგრამ დარღვევა შეძენის მომენტში ჯერ კიდევ გრძელდება.
2. მოსარჩელე უნდა იყოს აქციონერი მაშინ, როცა მას შეაქვს დერივაციული სარჩელი. ამავე დროს, სასამართლო პრაქტიკით დამკვიდრდა ისიც, რომ მოსარჩელე აქციონერი უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის.
3. სასამართლოში სარჩელის შეტანამდე აქციონერმა კორპორაციის ბორდს უნდა წარუდგინოს წერილობითი მოთხოვნა იმ მიზნით, რომ სარჩელი თვითონ ბორდმა შეიტანოს. ამავე დროს არსებობს ე.წ. Emand Futility, როდესაც ბორდისთვის მიმართვა წმინდა ფორმალობას წარმოადგენს და ამიტომ მიმართვაც არ არის აუცილებელი, ვინაიდან აშკარაა, რომ როდესაც დირექტორი იმგვარად არის სადავო გარიგებაში ჩათრეული, რომ შეუძლებელია მისგან მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღება.⁵⁴

⁵³ იქვე, გვ. 417

⁵⁴ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 418-420

4. ზოგიერთი შტატის კანონმდებლობის მიხედვით კი სავალდებულოა იმ საპროცესო და საადვოკატო ხარჯების უზრუნველყოფაც, რომლებიც შეიძლება კორპორაციას პროცესის გამო წარმოეშვას.⁵⁵

ამერიკის ზოგიერთი შტატი ეყრდნობა მოდელურ აქტს⁵⁶, რომელიც არ არის სავალდებულო საკანონმდებლო ხასიათის. მოდელური აქტის წესები განსხვავება დელავერის სამართლით განსაზღვრულ ბორდისადმი წინასწარი მიმართვის მოთხოვნებისაგან. კერძოდ, 7.41. პარაგრაფის მიხედვით:

1. დერივაციული სარჩელის შეტანის უფლება აქვს აქციონერს, თუ: დერივაციული სარჩელით გასაჩივრებული ქმედების განხორციელების დროს იგი ფლობდა კორპორაციის აქციას და კომპანიის უფლების განხორციელებისას იგი სამართლიანად და ადეკვატურად წარმოადგენს კომპანიის ინტერესებს.⁵⁷
2. აქციონერმა კორპორაციის ინტერესები დაიცვას სამართლიანად და ადეკვატურად;
3. აქციონერი ვალდებულია, წერილობით მიმართოს კორპორაციას, რათა კორპორაციამ თავად განახორციელოს მოთხოვნა და მიმართვიდან 90 დღის განმავლობაში არ განახორციელოს სარჩელის შეტანა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კორპორაციამ აცნობა აქციონერს, რომ მოთხოვნა უარყოფილი იქნა ან თუ აღნიშნული ვადის დაცვა გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს კორპორაციას.⁵⁸

აშშ-ში არსებობს სპეციალური კომისიაც, რომელიც არის შუამავალი რგოლი სასამართლომდე. იგი იქმნება ბორდის შიგნით და შედგება იმ დირექტორებისგან, რომელთაც გასაჩივრებულ გარიგებასთან არ აქვს შეხება. აღნიშნული კომისიის როლი მდგომარეობს აქციონერთა პრეტენზიების

⁵⁵ იქვე, გვ. 423

⁵⁶ RMBCA (Revised Model Business Corporation Act)

⁵⁷ MODEL BUSINESS CORPORATION ACT (2005), Official Comment, 7-84

⁵⁸ Model Business Corporate Act, Official Comment, 2005, 7-86

დასაბუთებულობის გარკვევასა და კორპორაციის ინტერესებთან შესაბამისობის დადგენაში. კომისიის გადაწყვეტილების სავალდებულობა სასამართლოებისათვის შტატების მიხედვით განსხვავებულია. მაგ., ნიუ იორკის უმაღლესი სასამართლოს აზრით, ეს გადაწყვეტილება სავალდებულოა, ხოლო დელავერის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, ჯერ უნდა შემოწმდეს თავად კომისიის მიუკერძოებლობა და მისი უარის შესაბამისობა კორპორაციის ინტერესებთან.⁵⁹ ხოლო, MBCA-ს მიხედვით, განსაზღვრულია დერივაციული საქმისწარმოების შეწყვეტის შემთხვევები, კერძოდ, თუ კორპორაცია დააყენებს შუამდგომლობას საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ, იმის გამო, რომ დერივაციული საქმისწარმოება არ არის კორპორაციის საუკეთესო ინტერესებში. აუცილებელია, რომ საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს სპეციალურად განსაზღვრულმა ჯგუფმა, კეთილსინდისიერად და გონივრული კვლევის ფარგლებში.⁶⁰ ამასთანავე, აქციონერს რჩება უფლება, განაგრძოს საქმისწარმოება თუ დაამტკიცებს, რომ დირექტორთა უმრავლესობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ იყო დამოუკიდებელი ან არაკეთილსინდისიერად ან არაგონივრულად იყო გამოკვლეული.⁶¹ შესაბამისად, სასამართლო არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოთხოვნაზე უარის ან დერივაციული საქმისწარმოების შეწყვეტის გონივრულობა/სამართლიანობა, განსხვავებით დელავერის სასამართლოსგან.

4.1. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

ბიზნეს საკითხებთან დაკავშირებული დავები განსაკუთრებით გახშირდა XIX საუკუნის ბოლოსკენ, როდესაც სხვადასხვა დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესწავლილ იქნა სასამართლოს მიერ⁶².

⁵⁹ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 422

⁶⁰ MODEL BUSINESS CORPORATION ACT (2005), Official Comment, 7-89

⁶¹ MODEL BUSINESS CORPORATION ACT (2005), Official Comment, 7-90

⁶² „Business Judgment Rule in Derivative Suits Against Directors“, Mark A. Underberg, pg. 600.

ძირითადი მსჯელობა ეყრდნობოდა პოსტულატს, რომ აქციონერები არჩეულ არიან ბორდის (დირექტორთა საბჭოს) მიერ, კომპანიის მართვის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად. აღნიშნული მოიცავს მართვის უფლებამოსილებას და იცავს დირექტორებს პასუხისმეგობლისგან, რაც გამოწვეულია კეთილსინდისიერების ფარგლებში მიღებული ისეთი გადაწყვეტილებისგან, რომელიც საბოლოოდ არაგონივრული აღმოჩნდა⁶³. აღნიშნული მსჯელობა გამოიყენეს სასამართლოებმა გადაწყვეტილებების მიღებისას და, შედეგად, აქციონერების მხრიდან ბიზნეს დავებისას გამოიყენება დერივაციული სარჩელების შეწყვეტისთვის.

ბიზნეს დავებთან დაკავშირებით, წინაპირობაა რომ დერივაციული სარჩელის შეტანამდე, მოსარჩელემ უნდა მიმართოს დირექტორთა საბჭოს (ბორდს) მოთხოვნით რომ შესრულდეს სასარჩელო მოთხოვნა ან მოთხოვნები.

უმეტესი ქვეყნის კანონმდებლობა ადგენს ზემოაღნიშნულ წინაპირობას. სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს სარჩელი, იმ მიზეზით, რომ მხარემ მიმართოს დირექტორთა საბჭოს და ამით უზრუნველყოფილ იქნას ბორდის შესაძლებლობა, მიიღოს კომპანიის ინტერესებისთვის საუკეთესო გადაწყვეტილება.

სავარაუდოა, რომ პირადი ინტერესის არ მქონე, მოუკერძოებელი დირექტორთა საბჭო უნარიანია, მიიღოს კეთილსინდისიერი და ობიექტური გადაწყვეტილება კომპანიის სასარგებლოდ. სასამართლოები ემხრობიან მოთხოვნასა და აღნიშნულ მოთხოვნაზე უარს, წინაპირობას, სასამართლოსთვის მიმართვისთვის წინაპირობას, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე წარადგენს შესაბამის მტკიცებულებებს, რომ ბორდი მიკერძოებულია. სამწუხაროდ, ამჟამად, სასამართლოები იყენებენ და

63 ee United Copper Sec. Co. v. Amalgamated Copper Co., 244 U.S. 261, 263 (1917); Corbus v. Alaska Treadwell Gold Mining Co., 187 U.S. 455, 462 (1903); Swanson v. Traer, 249 F.2d 854, 858 (7th Cir. 1957); Goldberg v. Ball, 305 Ill. App. 273, 282, 27 N.E.2d 575, 579 (1940).

ეგრდობიან სისტემურ მიდგომას მიკერძოებულობასთან დაკავშირებით, აქციონერების დერივაციულ ქმედებებზე. ბიზნეს დავებზე სარჩელის შემთხვევაში, სასამართლო, ხშირ შემთხვევაში, იყენებს ტექნიკურ ტესტებს, რომ განსაზღვროს მიკერძოებულობის საკითხი.

ბოლო პერიოდში, მოპასუხებმა დაამკვიდრეს ახალი მეთოდი დერივაციული ქმედებების შესაწყვეტად. აქციონერების სარჩელის საპასუხოდ დირექტორთა საბჭოს უმრავლესობა დაადანაშაულეს უკანონო ქმედებაში, ბორდის სრული უფლებამოსილების არასწორ დელეგირებაში. ყველა მოცემულ შემთხვევაში, დავის გადაწყვეტის სპეციალურმა კომიტეტმა დაადგინა, რომ აღძრული დავა არ ემსახურებოდა კომპანიის საუკეთესო ინტერესებს და კენჭი უყარეს მისი შეწყვეტის საკითხს. უმეტეს შემთხვევაში, მსგავსი მცდელობები წარუმატებელი აღმოჩნდა. სასამართლო, ძირითადად, განიხილავს ბიზნეს დავების განხილვის შიდა წესს, როგორც ამგვარი გადაწყვეტილებების სასამართლო წესით განხილვის დამაბრკოლებელს.

ისევე როგორც აქციონერი ასაჩივრებს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებას, ისე მოსარჩელემ შესაძლებელია დაამტკიცოს სპეციალური დავების განმხილველი კომიტეტის წევრების მიკერძოებულობა და ამით დაამტკიცოს საკუთარი პოზიცია. თუმცა, ამგვარი სარჩელების მიმართ რაიმე სისტემური მიკერძოებულობის ვერდამტკიცების გამო, სასამართლოებმა ეფექტურად მოახდინეს იზოლირება კორპორატიული არაკეთილსინდისიერების პასუხისმგებლობისგან. აღნიშნული განცალკევება ხაზს უსვამს ბიზნეს დავების განხილვის დოქტრინის არასაკმარისობასა და პრაქტიკაში დერივაციული სარჩელების სარგებლიანობის ნაკლებობას. სასამართლომ უნდა შეაფასოს საკუთარი მეთოდოლოგია, დირექტორების მიერ აქციონერების წინააღმდეგ შეტანილ სარჩელში და საქმეში მიკერძოებულობის საკითხთან დაკავშირებით, იმ მხრივ რომ გაიზარდოს სპეციალური დავის განმხილველი კომიტეტების

როლი და, სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნას უფრო შესაბამისი მიდგომები⁶⁴

დერივატიული სარჩელი, არსებითად, წარმოადგენს, აქციონერის ქმედებას, რომელიც ერთ შემთხვევაში, მიმართულია საკუთარი კომპანიის წინააღმდეგ, სადაც თავადაც წარმოადგენს ერთ-ერთ მმართველ რგოლს. მსგავსი ქცევის მიზეზი, ხშირად, არის ის რომ აღნიშნულ აქციონერი ვერ ახორციელებს გარკვეული გადაწყვეტილებების აღსრულებას, რადგან მას უარი ეთქვა სხვა მმართველების მიერ. ხოლო, მეორე მხრივ, აქციონერის ქმედება, აღძრას სარჩელი, მიმართულია მეორე მხარის მიმართ, რომელიც ეწინააღმდეგება მის აზრს მართვასთან დაკავშირებით. როდესაც, აქციონერი უჩივის დირექტორებს, ზემოაღნიშნული ორი მიზანი ერთმანეთს ემთხვევა. დირექტორების წინააღმდეგ შეტანილი დერივატიული სარჩელები წარმოადგენს ბიზნეს დავების წარმოების წესებთან შეუსაბამობას, რომლებიც შემუშავებულია საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დასაცავად და არა მესამე მხარის წინააღმდეგ დავის საწარმოებლად. ზემოაღნიშნული ორი საკითხის ზედაპირულმა მსგავსებამ, შეცდომაში შეიყვანა სასამართლო, რამაც გამოიწვია ის, რომ მოსამართლეებმა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ზოგადი დოქტრინა განურჩევლად გამოიყენეს და მოარგეს ორივე მათგანს.

თალითობისა და ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში, საბჭოში სისტემური მიუკერძოებლობა ნაკლებადაა სავარაუდო, როდესაც აქციონერი იცავს კომპანიის უფლებებს მესამე პირთან მიმართებით. დირექტორების დაცვა პასუხისმგებლობისგან კეთილსინდისიერებისა თუ უგუნური გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ბიზნეს დავის წარმოება, დირექტორის მოვალეობის შესრულება და არბიტრის როლის მორგება,

64 „Business Judgment Rule in Derivative Suits Against Directors“, Mark A. Underberg, pg. 602.

ყველაზე გამართლებული და მიზანშეწონილია, მაშინ როდესაც საქმე ეხება მესამე პირის წინააღმდეგ წარმოებულ დავას.

რეალურად, ბიზნეს დავის განხილვის წესი პირველად წარმოიშვა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, როდესაც აქციონერების მიერ შეტანილ იქნა სარჩელი მესამე პირების წინააღმდეგ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პრეცედენტულ საქმედ ითვლება საქმე *Hawes v. Oakland*⁶⁵. აღნიშნულ საქმეში, უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა წყლის კომპანიის გადაწყვეტილებას, არ ეწარმოებინა დავა ოკლენდის წინააღმდეგ. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა იქიდან გამომდინარე, რომ მოსარჩელემ ვერ დაამტკიცა არაკეთილსინდისიერება ან თაღლითობა⁶⁶. აღნიშნულის შემდეგ პერიოდშიც, მოსამართლეებმა განაგრძეს პატივი ეცათ კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელ დირექტორთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისთვის, რომლებიც წყვეტდნენ მესამე მხარეების წინააღმდეგ წარმოებული დერივაციული სარჩელების განხილვას. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული დამოკიდებულება არ არის შეუზღუდავი. სასამართლოები უარს ამბობენ დაეთანხმონ შიდა განხილვის შედეგებს, იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება, თავისმხრივ, არის უკანონო, არსებობს მტკიცებულება, რომ სახეზეა თაღლითობის ფაქტი ან საბჭოს გადაწყვეტილება გამოწვეულია ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ანგარიშსწორების შიშისგან. სასამართლოებმა არ გამოიყენეს აღნიშნული, როდესაც მოსარჩელემ წარადგინა მტკიცებულება რომ სახეზე იყო კონკრეტული დავის მიმართ დირექტორთა საბჭოს დაინტერესება და ისინი იყვნენ მიკერძოებულნი. მაგალითად, მსგავსი გადაწყვეტილება გვხვდება საქმეზე *Delaware & Hudson Co. v. Albany and Susquehanna Railroad Co.*⁶⁷ აღნიშნულ დავაში, დელავერის კომპანიის აქციონერებმა, რომლებიც იყვნენ მოსარჩელები, შეიტანეს დერივაციული სარჩელი სუსკეჰანას

65 104 U.S. 450 (1881)

66 „Business Judgment Rule in Derivative Suits Against Directors“, Mark A. Underberg, pg. 602.

67 213 U.S. 435 (1909).

რკინიგზის წინააღმდეგ და ითხოვდნენ იჯარის ხელშეკრულების კონკრეტული პუნქტის დარღვევის გამო ზიანის ანაზღაურებას. სუსკეჰანას დირექტორთა საბჭოს უმრავლესობა იყო დელავერის ოფიცერი, დირექტორი ან დასაქმებული. უზენაესმა სასამართლომ დელავერის ბორდს არ მისცა უფლება შეეწყვიტა დავა და უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. მესამე პირების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში, მოსარჩელეს აქვს მტკიცების ტვირთი იმასთან დაკავშირებით, რომ სახეზეა არაკეთილსინდისიერი ან თაღლითური ქმედება, ასევე, სახეზეა სხვა გამონაკლისი გარემოებები, რომლებიც უარყოფენ მიუკერძოებელი გადაწყვეტილების პრეზუმფციას. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ზემოაღნიშნულ წინაპირობებს დაამტკიცებს, სასამართლომ შესაძლებელია დააკმაყოფილოს მოთხოვნა.

სასამართლოებმა აღიარეს გაზრდილი საშიშროება, კომპანიის დირექტორების მხრიდან არასათანადო მოპყრობის საფუძველზე არსებული დავების იმ პირების ხელში მოხვედრისა, რომლებიც სარგებელს იღებენ მსგავსი დავების შეწყვეტისგან. მსგავს შემთხვევებში, ბიზნეს დავების შიდა საფეხურზე გადაწყვეტის მექანიზმი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დირექტორთა საბჭოს წევრების მხრიდან, როგორც, პასუხისმგებლობის აცილების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაშიც, კი როდესაც დაინტერესებული/მიკერძოებული დირექტორები ამტკიცებენ დერივაციულ სარჩელში მითითებულ მოთხოვნას, მაღალია ალბათობა იმისა, რომ არასწორად იქნას გამოყენებული არსებული მექანიზმი. სასამართლოები, როგორც წესი, რეაგირებენ ცალსახა მიკერძოებულობაზე, მაგალითად, როდესაც სარჩელში დირექტორთა უმრავლესობა დახასიათებულია არაკეთილსინდისიერად. თუმცა, სასამართლოები არ ეთანხმებიან ჩარევის ინტენსივობის მაღალი დონის აუცილებლობას დირექტორის საკითხისადმი „დაინტერესების“ დასადგენად.

საქმეში *Galef v. Alexander*⁶⁸ სასამართლომ დაამკვიდრა განსახვავებული სტანდარტები „დაინტერესების“ ფაქტორის გამოყენების ნაწილში. თუმცა, სტანდარტი ვრცელდება სხვადასხვა შემთხვევაზე, როგორებიცაა: შემთხვევა, როდესაც მოსარჩელემ არ დააყენა მოთხოვნა და შემთხვევა, როდესაც დააყენა, თუმცა, არ დაკმაყოფილდა. აღსანიშნავია, რომ უმეტესმა სასამართლომ მსგავსი განსახვავებები არ გაითვალისწინა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ შესაძლებელია დააკმაყოფილოს მოთხოვნა, თუ მოსარჩელე დაამტკიცებს, რომ დაინტერესებული დირექტორების უმცირესობა აკონრტოლებს საბჭოს, ძირითადად, ისინი აძლევენ არადაინტერესებული, მიკერძოებული დირექტორების უმრავლესობას უფლებას შეწყვიტონ წარმოებული დავა.⁶⁹

ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად შეიძლება განვიხილოთ, ის თუ რამდენად შესაძლებელია დავების განმხილველმა სპეციალურმა კომიტეტმა შეწყვიტოს დერივაციული სარჩელის წარმოება. საქმეში *Burks v. Lasker*, უზენაესმა სასამართლომ დაამატა ფედერალური კანონმდებლობის იურისდიქციაც. მოსარჩელემ შეიტანა დერივაციული სარჩელი საინვესტიციო კომპანიების აქტის (1940) საფუძველზე. დავის განმხილველმა სპეციალურმა კომიტეტმა მიიღო დავის წარმოების შეწყვეტის გადაწყვეტილება. სასამართლომ დაადგინა, რომ გასარკვევი იყო ფარგლები, თუ რომელ საქმეებს ერგებოდა არსებული კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც, ზემოაღნიშნულ კომიტეტს ჰქონდა უფლება განესაზღვრა დავის ბედი. იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაკმაყოფილდებოდა არსებული საკანონმდებლო წინაპირობები, აუცილებელი იყო რომ კანონი შესაბამისობაში ყოფილიყო ფედერალურ კანონმდებლობასთან.

68 615 F.2d 51 (2d Cir. 1980). In *Galef*, the shareholder-plaintiff alleged that by approving amendments to certain executive stock option plans, directors of TRW, Inc., breached their fiduciary duties to the corporation and violated §14(a) of the Securities Exchange Act

69 „Business Judgment Rule in Derivative Suits Against Directors“, Mark A. Underberg, pg. 607.

სასამართლომ გააუქმა კომიტეტის გადაწყვეტილება და განაახლა საქმისწარმოება⁷⁰.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქმეა - *Maldonado v. Flynn*, რომელშიც დელავერის სასამართლომ გააუქმა კომიტეტის გადაწყვეტილება, იმასთან დაკავშირებით რომ შეეწყვიტა აქციონერის სარჩელის წარმოება. სასამართლომ დაადგინა, რომ დელავერის კანონმდებლობის შესაბამისად, კომიტეტს არ ჰქონდა უფლება მიეღო დავის შეწყვეტის გადაწყვეტილება ფიდუციარული ვალდებულების დარღვევის ბრალდებით.⁷¹

აღსანიშნავია, რომ უმეტესი ქვეყნები განუსაზღვრავენ გარკვეულ შეზღუდვებს საბჭოს, რომ გადასცენ უფლებამოსილება კომიტეტებს, თუმცა, არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადაცემას დერივაციულ სარჩელთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, დირექტორთა საბჭოს არ შეუძლია გადასცეს ის უფლებამოსილება, რომელსაც თავად არ ფლობს. დავების განმხილველი სპეციალური კომიტეტისთვის უფლებამოსილების გადაცემა მარტივად განმასხვავებელია მათთვის უფლებამოსილების გადაცემისგან, რომელიც ემსახურება დაადასტუროს ურთიერთმიმართება კომპანიასა და დირექტორების უმრავლესობას შორის.

დავის განმხილველი სპეციალური კომიტეტის, როგორც გადაწყვეტილების მიმღები უკანასკნელი რგოლის განსაზღვრასთან დაკავშირებით, სასამართლოებმა გამოიყენეს პრეზუმცია რომ თუ კომიტეტი ცალსახად არ არის მიკერძოებული, იგი არის დამოუკიდებელი. მსგავსი დაშვება გაუმართლებელია. სხვადასხვა გამოკვლევებმა აჩვენა რომ დირექტორები უმეტესად ეკონომიკურად ან ფსიქოლოგიურად არიან დამოკიდებულნი კომპანიებზე ან აღმასრულებელ დირექტორებზე.⁷²

70 „Business Judgment Rule in Derivative Suits Against Directors“, Mark A. Underberg, pg. 609.

71 „Business Judgment Rule in Derivative Suits Against Directors“, Mark A. Underberg, pg. 616.

72 „Business Judgment Rule in Derivative Suits Against Directors“, Mark A. Underberg, pg. 619.

საქმეში *Maldonado v. Flynn*, სასამართლომ დაამკვიდრა მეტად გაუმჯობესებული მიდგომა. მან უარყო ის მოსაზრება, რომ აქციონერების უფლება, შეიტანონ სარჩელი, არის მეორადი უფლება და გამომდინარეობს კომპანიის კეთილდღეობიდან. ამასთან, სასამართლომ დირექტორების წინააღმდეგ შეტანილი დერივაციული სარჩელი შეაფასა, როგორც პირველადი და დამოუკიდებელი მოთხოვნა, რომელიც წარმოიშობა მაშინ, როდესაც აქციონერები აკეთებენ მოთხოვნას და მათი მოთხოვნა არ კმაყოფილდება. ამ თვალსაზრისით, ბიზნეს დავების განხილვის წესი შეუსაბამო ხდება იმ საკითხთან მიმართებით, აქვს თუ არა კომიტეტს უფლებამოსილება უარყოს ან აიძულოს სხვა წევრები, მიიღონ გადაწყვეტილება დავის წარმოების შეწყვეტაზე⁷³.

ნიუ-იორკის სააპელაციო სასამართლომ საქმეში *Auerbach v. Bennett*, დაადგინა ორსაფეხუროვანი ასპექტი. პირველი ეხებოდა მოპასუხის სავარაუდო პასუხისმგებლობას, რომელიც ეფუძნებოდა უცხო ქვეყნის მთავრობის წარმომადგენლისთვის განხორციელებულ გადახდაზე. პირველი ასპექტი ეხებოდა, ფაქტობრივ საკითხს - ქრთამის გადახდას და შემდგომ უკან დაბრუნებას. ხოლო მეორე ასპექტი - დავის განმხილველი სპეციალური კომიტეტის გადაწყვეტილებას რომ მოპასუხის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი ვერ იქნებოდა კომპანიის საუკეთესო ინტერესის დაცვა. ორასპექტიანი მოთხოვნა უნიკალური შესაძლებლობაა დირექტორების წინააღმდეგ წარმოებული დერივაციული სარჩელის შემთხვევაში. მსგავსი არ ერგება მესამე პირების წინააღმდეგ წარმოებულ დავას. სასამართლო ყოველთვის სთხოვს აქციონერებს პირველადი მოთხოვნა წარუდგინონ დირექტორთა საბჭოს. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა ხელი არ შეეშალოს აქციონერის საჩივარს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ კომპანია ვერ გამოიყენებს აღნიშნულ შესაძლებლობას.

73 „Business Judgment Rule in Derivative Suits Against Directors“, Mark A. Underberg, pg. 629.

ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო საპროცესო ფედერალური წესების 23.1 და შესაბამისი შტატის პროცედურული წესი მოითხოვს, რომ აქციონერმა მოსარჩელემ დერივაციული სარჩელით მიმართოს „მხოლოდ მაშინ“, როცა: მან ყველა ხერხი გამოიყენა, ასეთის სარჩელის მიმართვისგან თავის ასარიდებლად, მან მიმართა დირექტორს კონკრეტული მოქმედების შესრულების მოთხოვნით და მისი მცდელობა უშედეგო გამოდგა.⁷⁴

23.1 წესს მიენიჭა არსებითი მნიშვნელობა, სავარაუდოდ მოქმედი სახელმწიფო კანონის ან ფედერალური კანონის შესაბამისად. სასამართლოებმა მოითხოვეს, რომ მოსარჩელემ(დერივაციული სარჩელის ავტორმა) აღწეროს მისი მცდელობები, რაც მოიმოქმედა დირექტორებისგან კონკრეტული ქმედების მისაღებად, ამის შემდეგ სასამართლო განსაზღვრავს სარჩელის საფუძვლიანობას და წყვეტს მისი მიღება არ მიღების საკითხს. სხვა საკითხებთან ერთად სასამართლოები განიხილავენ იმ სარგებელს, რომელიც მიადგება კომპანიას დერივაციული სარჩელის განხილვის შემდეგ.⁷⁵

საქმეში *Burks v. Lasker*, Justice Brennan– ში აღნიშნულია, რომ „შესაძლებელია თუ არა საინვესტიციო კომპანიის უინტერესო დირექტორებმა (პატიოსანი დირექტორები, რომლებსაც კონკრეტული გარიგების მიმართ არ აქვთ ინტერესი) შეწყვიტონ აქციონერთა წარმოებული საჩივარი ...“. საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ ე.წ. business judgment rule-ის მიხედვით, ნამდვილად მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი დირექტორების ქვორუმს აქვს უფლებამოსილება შეწყვიტოს წარმოებული საჩივარი, რომელიც მათი ჭეშმარიტი რწმენით ეწინააღმდეგება კომპანიის საუკეთესო

⁷⁴ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.2)

See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

⁷⁵ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.2)

See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

ინტერესებს. ”მას შემდეგ რაც რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დირექტორებმა იმოქმედეს დამოუკიდებლად და საქმის შეწყვეტით კეთილსინდისიერად მიღებულ იქნა შემაჯამებელი განაჩენი. სააპელაციო სასამართლომ შეცვალა და მიიჩნია, რომ "საინვესტიციო კომპანიის დირექტორებს არ აქვთ უფლება, რომ უარი თქვან მათზე აქციონერების მიერ დირექტორების წინააღმდეგ წარმოებულ სარჩელებზე, რადგან დერივაციული სარჩელით მიმართვა მათი ფიდუციური უფლებამოსილებაა".⁷⁶

თანხვედრაა ჯასტის სტიუარტისა და პაუელის შეხედულებებს შორის. კერძოდ, ისინი ამბობენ, რომ დირექტორთა გადაწყვეტილება წარმოების შეჩერების თაობაზე არ განსხვავდება სხვა კორპორატიული გადაწყვეტილებისგან და უნდა გაკეთდეს მიუკერძოებელი დირექტორების კოლექტიური შეხედულებისამებრ.⁷⁷

საქმეში Zapata Corp. Vs. Maldonado დელავერის უზენაესმა სასამართლომ უარყო ე.წ. პატივისცემითი მიდგომა, რაც გულისხმობს დორექტორთა საბჭოს უფლებას შეწყვიტონ აქციონერთა წარმოებული სარჩელები. კითხვაზე, მიიღებს თუ არა სასამართლო საბჭოს დერივაციული სარჩელის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების, სასამართლომ დაადგინა, რომ მაშინაც კი, თუ სპეციალურ დირექტორთა საბჭო ნამდვილად იყო მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი, სასამართლომ თავად უნდა განსაზღვროს და მიიღოს გადაწყვეტილება არის თუ არა კორპორაციის შუამდგომლობა წარმოებული სარჩელის გაუქმების შესახებ საფუძვლიანი.⁷⁸

⁷⁶ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.3)
See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

⁷⁷ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.3)
See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

⁷⁸ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.3)

დერივაციულ სარჩელთან დაკავშირებული მთავარი კითხვაა, სარგებელს მოუტანს თუ არა სარჩელი კორპორაციას. პროცედურული და ნორმატიული სქემა მიზნად ისახავს ამ საკითხის სასამართლოში წარდგენას.⁷⁹

ერთ-ერთი მთავარი კითხვა არის ასევე ის, თუ რა როლი აქვთ სასამართლოებს განხილვის პროცესში და რამდენად უნდა გაიზიარონ სასამართლოებმა დირექტორების ან აქციონერების გადაწყვეტილებები და შეხედულებები, არის თუ არა კონკრეტული სარჩელი კორპორაციის საუკეთესო ინტერესებში.⁸⁰

საქმეში In *Burks v. Lasker*, უზენაესმა სასამართლომ დასვა კითხვა, შეუძლიათ თუ არა დირექტორებს შეაჩერონ წარმოებული სარჩელები. ამიტომ სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დირექტორების უფლებამოსილებაზე, ნაცვლად აქციონერების უფლებამოსილებისა, შეაფასონ და განსაზღვრონ არის თუ არა წარმოებული საქმე კორპორაციის ინტერესებში.⁸¹

საქმეები, როგორცაა *Zapata* და *Joy*, სასამართლომ განხილვის ძირითად საკითხად განსაზღვრა სარჩელის სარგებლიანობა კომპანიის მიმართ და მოცემულ საკითხზე შეიმუშავა სასამართლო შეფასების სტანდარტები⁸².

See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

⁷⁹ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.3)

See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

⁸⁰ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.4)

See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

⁸¹ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.4)

See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

⁸² ⁸² ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.4)

See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

ჯამში, დერივაციული მოქმედებები ორ ასპექტს მოიცავს. პირველი ასპექტი ყურადღებას ამახვილებს დირექტორის მიერ ფიდუციური მოვალეობების დარღვევაზე, საიდანაც გამომდინარეობს აქციონერების პირადი უფლება, დააყენოს ორგული ან გაუფრთხილებელი დირექტორის პასუხისმგებლობა, ხოლო მეორე ასპექტი ეხება კორპორაციის უფლებას შეიტანოს სარჩელი მესამე პირების მიმართ მოთხოვნაზე, კორპორაციის სახელით.⁸³

დერივაციული სარჩელი აქციონერებს საშუალებას აძლევს გააკონტროლონ კორპორაციის სახელით წარმოებული/საწარმოები ღირებული დავები და შეზღუდონ კორპორაციის მართვისთვის დირექტორების საწესდებო ფუნქციები, უშუალოდ კორპორაციის სახელით სარჩელი შეიტანონ მესამე პირების წინააღმდეგ; სასამართლო წარმოების პროცესში შეამოწმონ დირექტორის წარმოებული საქმეები.⁸⁴

სტიუარტმა და პაუელმა, საქმეში *Burks v. Lasker*, განაცხადეს, რომ რადგან დირექტორებს ეძლევათ უფლებამოსილება წამოიწყონ ქმედებები კორპორაციის სახელით, მათ შეუძლიათ ყველა მოქმედების წარდგენა კორპორაციის სახელით. ამიტომ, დირექტორთა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ნებისმიერი პრეტენზია უნდა იქნას შეწყვეტილი, მიზეზის მიუხედავად, სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს, თუ დირექტორები არიან მიუკერძოებლები.⁸⁵

ეს ხისტი სილოგიზმი გადაჭარბებულია. პირველი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აუცილებელია Business Judgement Rule-მა დაიცვას

⁸³ ⁸³ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.5)
See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

⁸⁴ ⁸⁴ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.5)
See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

⁸⁵ ⁸⁵ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.6)
See discussions, stats, and author profiles for this publication at: <https://www.researchgate.net/publication/266470583>

დირექტორები პასუხისმგებლობისგან მათი პატიოსანი (თუნდაც შეცდომით) საქმიანი გადაწყვეტილებების გამო. მოცემული წესი არის დირექტორის დაცვის მექანიზმი, არა მათთვის დამატებითი ან "უფრო ძლიერი" უფლებამოსილებების მინიჭება. მეორე, დერივაციული მოქმედებები შეიძლება მოიცავდეს საქმიანობას, რომელსაც არ აქვს კორპორატიული ბიზნესის კომპონენტები, როგორცაა ინსაიდერების ვაჭრობა. ეს სარჩელები არ არის და არც უნდა იყოს დირექტორების ექსკლუზიურ მოქმედების სფერო. გარდა ამისა, სასამართლო დავის პოტენციური წარმატების შეფასება არ არის დირექტორის მოვალეობა.⁸⁶

თავი V. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საქართველოში

საქართველოში დერივაციულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკა ფაქტობრივად არ არსებობს. კორპორაციის ხელმძღვანელთა წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პროცესების რაოდენობა განსხვავებულია, ასევე, გერმანიასა და აშშ-ში. განსხვავებით ამერიკისგან, გერმანიაში ძალიან ცოტაა სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც დირექტორთა პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ. ამ გარემოებას ხსნიან არა სამართლის ნორმების არარულყოფილებით, არამედ მათი გამოუყენებლობით. ამიტომ, გავრცელებული შეხედულების თანახმად, პრობლემები მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობაში უფროა, ვიდრე სამართლის ნორმების ხარვეზებში.⁸⁷ მიუხედავად იმისა, რომ გერმანიაში პირდაპირ დაავალდებულეს სამეთვალყურეო საბჭო აღეძრათ სარჩელი გამგეობის წევრების მიმართ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე, მაინც არ გაზრდილა სარჩელთა რაოდენობა, რაც გახდა აქციონერთა სარჩელის შემოღების აუცილებლობის მიზეზი. ხოლო, რაც შეეხება აშშ-ს, აქ,

⁸⁶ ⁸⁶ ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, ავტორი Tamar Frankel (გვ.6)
See discussions, stats, and author profiles for this publication at:
<https://www.researchgate.net/publication/266470583>

⁸⁷ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 412

პირიქით, სასამართლო პრაქტიკის შედეგად ჩამოყალიბდა აღნიშნული უფლება.⁸⁸

არსებობს შემთხვევები, რა დროსაც კომპანია ისეთი დირექტორის წინააღმდეგ აღძრავს დერივაციულ სარჩელს, რომელსაც გააჩნია მხოლოდ დირექტორის სტატუსი და ის ამავდროულად არ წარმოადგენს ამ კომპანიის პარტნიორს. აღნიშნულის საპირისპიროდ, ასევე არსებობს შემთხვევები, რა დროსაც პირი თანადროულად კომპანიის პარტნიორიც და დირექტორიც არის. იმ შემთხვევაში, თუ ამ კომპანიის დანარჩენ პარტნიორს ან/და პარტნიორებს მიაჩნიათ, რომ კომპანიის გარკვეული წარუმატებლობა დირექტორის „არაგულმოდგინე“ ან/და „არაკეთილსინდისიერი“ მართვის შედეგია, ჩნდება პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე კითხვა - ასეთი პირის წინააღმდეგ სასამართლო დავა უნდა დაიწყოს, როგორც დირექტორის წინააღმდეგ, თუ როგორც ამ კომპანიის პარტნიორის წინააღმდეგ. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად აუცილებელია დადგინდეს საკითხი იმის შესახებ, რომ პირი, რომელმაც გარკვეული გადაწყვეტილებები მიიღო ან მომჩივნის მოსაზრებით არაბრალეულად იკავებდა უმოქმედო პოზიციას, რამაც კომპანია დააზარალა, მოქმედებდა როგორც დირექტორი, თუ როგორც პარტნიორი. ამიტომ, ასევე მნიშვნელოვანია, რომ კომპანიის წესდებაში და დირექტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მკვეთრად განისაზღვროს დირექტორის კონკრეტული უფლება-მოვალეობები, ისევე, როგორც ეს სიცხადე წესდების იმ ნაწილზეც უნდა გავრცელდეს, რომელიც პარტნიორთა უფლებრივ სტატუსს განსაზღვრავს.⁸⁹

დერივაციული სარჩელის კონტექსტში ასევე საყურადღებოა სამეთვალყურეო საბჭოს როლის განსაზღვრა. არის დიდი ალბათობა იმისა, რომ დირექტორი არღვევდეს ერთგულების და ზრუნვის მოვალეობას და აღნიშნულის თაობაზე სამეთვალყურეო საბჭოს მთლიანი შემადგენლობა ან

⁸⁸ იქვე, გვ. 413

⁸⁹ <https://bm.ge/ka/article/korporaciuli-martvis-farglebshi-warmoqmnili-sasamartlo-davebis-taviseburebebi-/34373>

საბჭოს რომელიმე წევრი ინფორმირებული იყოს და ბრალეულად, აღნიშნულის თაობაზე არ აცნობოს პარტნიორს/პარტნიორთა კრებას. როგორც ცნობილია, დირექტორის მსგავსად, პერსონალური პასუხისმგებლობა შეიძლება სამეთვალყურეო საბჭოს წევრსაც დაეკისროს, თუ მან ერთგულების და ზრუნვის მოვალეობა დაარღვია.⁹⁰

დერივაციული სარჩელის ფარგლებში, განვიხილოთ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის საქმე №2/1765-16. განსახილველი დავის ფარგლებში უმნიშვნელოვანესია, შეფასდეს უფლების გამოყენების მართლზომიერების საკითხიც, რამდენადაც დავა შეეხება საწარმოს დომინანტ და მინორიტარ პარტნიორებს და მათ მიერ უფლება-მოვალეობათა რეალიზაციის კანონიერებას. სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. სასამართლოს უპირველესი ამოცანაც სამოქალაქო უფლების მართლზომიერად განხორციელების უზრუნველყოფაში მდგომარეობს. ნებისმიერი დავის განხილვისას, როგორც წესი, სასამართლო ამოწმებს უფლების გამოყენებისა და ვალდებულების შესრულების მართლზომიერების საკითხს და მის საფუძველზე აფასებს მხარეთა მიერ სასამართლოს წინაშე დაყენებულ მოთხოვნათა მართებულობას. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვის უფლება თავის მნიშვნელობას კარგავს. უფლების გამოყენების მართლზომიერების შესაფასებლად კი აუცილებელია მისი გამოყენების განმაპირობებელ გარემოებათა მართლზომიერების შეფასება. საკორპორაციო სამართალში უფლების კეთილსინდისიერად გამოყენების საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რამდენადაც კაპიტალური ტიპის საზოგადოებაში „წილი“ წარმოადგენს „მფლობელობას“ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის ფარგლებში და მასზე ვრცელდება საკუთრების ინსტიტუტიდან ნაწარმოები

⁹⁰ <https://bm.ge/ka/article/korporaciuli-martvis-farglebshi-warmoqmnili-sasamartlo-davebis-taviseburebebi-/34373>

აბსოლუტური უფლებები. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი იცნობს „დომინანტი პარტნიორის“ ცნებას და 3.8. მუხლის თანახმად, თუ საწარმოს დომინანტმა პარტნიორმა განზრახ გამოიყენა თავისი დომინანტური მდგომარეობა ამ საზოგადოების საზიანოდ, მან დანარჩენ პარტნიორებს უნდა გადაუხადოს შესაბამისი კომპენსაცია. დომინანტად ითვლება პარტნიორი ან ერთად მოქმედ პარტნიორთა ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგზე. ბოლო წინადადების თანახმად, დომინანტ პარტნიორად ან პარტნიორთა ჯგუფად მიიჩნევა პირი/ჯგუფი, რომელსაც აქვს პრაქტიკული შესაძლებლობა, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებაზე. მინორიტარი პარტნიორის ცნებას კანონი პირდაპირ არ გვთავაზობს, თუმცა, მის მაკვალიფიცირებელ ნიშნებს ზემოხსენებული ნორმა იძლევა - არ შეუძლია დამოუკიდებლად გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინოს პარტნიორთა კრების კენჭისყრის შედეგებზე. მინორიტარი პარტნიორების უფლებების დაცვაზე მიუთითებს, მაგალითად, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლით გარანტირებული უფლებამოსილებანი, თუმცა, დაცვის თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია პარტნიორის, როგორც ინდივიდის უფლება სარჩელზე და მისი უფლება - წარადგინოს დერივაციული სარჩელი. მოთხოვნის წარმატების შესაბამისად, კანონი იცავს ასევე მხარის მიერ საერთო მიზნის მისაღწევად გაწეული პროცესის ხარჯების ანაზღაურების საკითხს. სარჩელის უფლების განსაკუთრებულობა განაპირობებს სასამართლოს მხრიდან კრების გადაწყვეტილების შინაარსობრივი საფუძვლიანობის შემოწმების აუცილებლობას, რათა დადგინდეს სამეწარმეო ურთიერთობის სფეროს მიკუთვნებული სუბიექტების ქმედების მართლზომიერება, ანუ სახეზეა თუ არა მინორიტართა ინტერესების დარღვევის ფაქტი და მიღებული გადაწყვეტილება სამეწარმეო

ურთიერთობის სუბიექტთა საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, გადაწონის თუ არა უმცირესობაში მყოფ პარტნიორთა ინტერესებს.⁹¹

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმეებიდან აუცილებლად უნდა გამოვყოთ 2019 წლის 23 იანვარს განხილული საქმე #ას-727-685-2016⁹², რომელიც ასევე დერივაციული სარჩელის საფუძველზე იქნა წარმოებული. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, შპს „ს“-ს პარტნიორი სხვა საწარმოებთან ერთად იყო შპს „ა“, რომელმაც სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „ს“-ს დირექტორის ვ.მ-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ამ უკანასკნელის მიერ საწარმოსთვის მიყენებული ზიანის სახით 46 857,53 ლარის დაკისრება. ასეთი მოთხოვნის საფუძველი გახდა ის, რომ დირექტორმა თავისივე საწარმოსთან 2014 წლის 1 მაისს გააფორმა ხელშეკრულება, რომლითაც დირექტორმა აიღო ვალდებულება თავისი საწარმოსთვის 781 000 ლარი გადაეცა სესხის სახით წლიურ 22%-ად. ამის შემდეგ, დირექტორმა, როგორც ფიზიკურმა პირმა, თავისივე საწარმოს ორი შემკვეთი იურიდიული პირისაგან ისესხა თანხები (ჯამში 781 000 ლარი) წლიურ 20%-ად და თავის მმართველობაში მყოფ საწარმოს უკვე 22%-ად გადაასესხა. საგულისხმოა, რომ შპს „ს“ ამ ორივე შემკვეთი იურიდიული პირისთვის ახორციელებდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს, რის შედეგადაც ორივე მათგანს ისედაც უნდა გადაეხადათ მისთვის ჯამში 883 000 ლარი მათთვის შესასრულებელი სამუშაოს სანაცვლოდ. საბოლოოდ, შპს „ს“-სა და თითოეულ თავის შემკვეთს, აგრეთვე, დირექტორს შორის დაიდო მოთხოვნის დათმობისა და ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის შესახებ წერილობითი ხელშეკრულებები, რომელთა შედეგადაც საბოლოოდ შპს „ს“-ს ამ გარიგებების შედეგად პროცენტის სახით მოუწია 46 857,53 ლარის გადახდა, რასაც ითხოვდა კიდევ პარტნიორი დირექტორისაგან.

⁹¹ ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №2/1765-16, ქუთაისი, 2018 წლის 7 ივნისი.

⁹² საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-727-685-2016, თბილისი, 2019 წლის 23 იანვარი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ და დამატებით აღნიშნა, რომ „დირექტორს არ შეეძლო მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების იმ საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება, რომელსაც ის წარმოადგენდა. განსახილველ შემთხვევაში, როგორც კომპანიასთან, ისე მესამე პირებთან. 2014 წლის 1 და 6 მაისს, ასევე 3 ივნისს, მის მიერ დადებული შეთანხმებები თავისი შინაარსით უჩვეულო იყო და იმთავითვე ცხადყოფდა, რომ მათი შესრულება კომპანიისთვის ზიანის მომტანი იქნებოდა. გარდა ამისა, 2014 წლის 1 მაისის შეთანხმება დირექტორმა (კომპანიის წარმომადგენელმა) წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან დადო და მისი ნამდვილობა დამოკიდებული იყო პარტნიორების თანხმობაზე (იხ. სსკ-ის 114-ე, 100-101-ე მუხლები). აქედან გამომდინარე, დირექტორს არ შეეძლო ამ გარიგებების დადება ყველა პარტნიორის მონაწილეობით ჩატარებული კრების გადაწყვეტილების გარეშე (იხ. მეწარმეთა შესახებ კანონის 91.7-ე მუხლი). მტკიცების ტვირთის მატარებელმა დირექტორმა კანონით დასაშვები და უტყუარი მტკიცებულება ვერ წარუდგინა სასამართლოს იმის დასადასტურებლად, რომ ის ამ კონკრეტულ სიტუაციაში კომპანიის პარტნიორების მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოქმედებდა“. იქვე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დამატებით ხაზი გაუსვა მტკიცების ტვირთის განაწილების საკითხს დერივაციულ სარჩელებში და აღნიშნა, რომ „დერივაციული სარჩელის განხილვისას მტკიცების თვალსაზრისით, მოსარჩელის ვალდებულებას წარმოადგენდა ზიანის არსებობის ფაქტის დამტკიცება, მას უნდა მიეთითებინა და წარედგინა მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდა საწარმოს მატერიალური დანაკლისის ფაქტს, რომელიც დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი გახლდათ, ხოლო საწარმოს ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი ვალდებული იყო, გაექარწყლებინა ეს გარემოება იმგვარად, რომ იგი კანონის მოთხოვნათა

შესაბამისად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობებს და თუნდაც მატერიალური დანაკლისის არსებობის შემთხვევაში, ეს მდგომარეობა არ იყო დირექტორის ბრალეული ქმედების შედეგი. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იმ პირობებში, როდესაც შპს „ს“-ს ისედაც მისაღები ჰქონდა თანხები ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში შემკვეთებისგან, მისი მხრიდან პროცენტური სესხის აღების აუცილებლობა და გადაუდებელი საჭიროება არ არსებობდა.

სასამართლო პრაქტიკისთვის, ასევე, მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს პოზიცია სარჩელის დასაშვებობის ნაწილში. კერძოდ, 2018 წელს, საწარმოს პარტნიორებსა (მოსარჩელებს) და საწარმოსა და დანარჩენ პარტნიორებს (მოპასუხეებს) შორის დავაში სარჩელი აღძრულია საზოგადოების მინორიტარი პარტნიორების მიერ და სადავოდ ხდიან საზოგადოების ქონების გასხვისების თაობაზე ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებას, ისევე, როგორც ამ გადაწყვეტილების პრაქტიკულ რეალიზაციას. სარჩელში იურიდიულ ინტერესად მითითებულია, რომ დომინანტ პარტნიორთა მიერ საკუთარი ძალაუფლების გამოყენება საწარმოს ინტერესების საწინააღმდეგოდაა განხორციელებული, მათ გაასხვისეს საზოგადოების საწესდებო კაპიტალში არსებული ქონება, რომლის მეშვეობითაც საზოგადოება ახორციელებდა საკუთარ ეკონომიკურ საქმიანობას. საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აშკარაა მინორიტარ პარტნიორთა მიერ აღძრული დერივაციული სარჩელი რომლის მიზანიც საზოგადოების ქონებრივი ინტერესების დაცვაა და მიმართულია სადავო გარიგებებით განკარგული საზოგადოების საწესდებო კაპიტალის დაბრუნებისკენ. ამ მიზნის მიღწევა კი, მხოლოდ აღიარებითი სარჩელის პირობებში შეუძლებელია, ამ მოთხოვნის რეალიზაციის საშუალებას მიკუთვნებითი სარჩელი წარმოადგენს, სასამართლო კი, სსსკ-ის 248-ე მუხლის იმპერატიული შეზღუდვიდან გამომდინარე, ვერ გაცდება სასარჩელო მოთხოვნას და ვერ მიაკუთვნებს მხარეს (საზოგადოებას) იმას, რაც არ უთხოვია ან იმაზე მეტს, ვიდრე ის მოითხოვდა. პალატამ დამატებით

მიუთითა, რომ ევროსასამართლოს პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, მართლმსაჯულების განხორციელება არ უნდა იყოს ფორმალური, არამედ სამართალწარმოების მიზანი დარღვეული უფლების ეფექტურ და რეალურ დაცვაზეა ორიენტირებული, რაც ეროვნული სასამართლოს მიერ საკითხის ამომწურავ გადაწყვეტაზე მიანიშნებს და არა ფორმალური ხასიათის სამართალწარმოებაზე, რომელსაც დავის აღმოფხვრა შედეგად არ მოჰყვება. პალატამ ევროსასამართლოს განმარტებაზე დაყრდნობით მიუთითა, რომ საერთო სასამართლოებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ აღძრული სარჩელისადმი მოსარჩელის იურიდიულ ინტერესზე, ასევე, იმ საკითხზე თუკი აღიარებითი სარჩელის ნაცვლად, შესაძლებელია მიკუთვნებითი მოთხოვნის წაყენება მოპასუხისადმი, რაც იმავდროულად გადაწყვეტილების აღსრულებაუნარიანობის საკითხსაც უკავშირდება, რადგან გადაწყვეტილების აღსრულება მხარისათვის გარანტირებული სამართლიანი სასამართლოს განუყოფელი ნაწილია, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლომ მიუთითა აღიარებითი სარჩელის სამართლებრივი ბუნების თაობაზე და დაასკვნა, რომ საწარმოს პარტნიორთა აღიარებითი სარჩელი საწარმოს კრების ოქმისა და უძრავი ქონების გასხვისების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით დაუშვებელია და სარჩელი განუხილველად დატოვა.⁹³

დერივაციული სარჩელის დირექტორის წინააღმდეგ დაშვებასა და განხილვასთან დაკავშირებით კი მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის გადაწყვეტილება.⁹⁴ საკასაციო პალატამ განმარტა,

⁹³ საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-833-779-2017, თბილისი, 30 მარტი, 2018.

⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-1077-2018, თბილისი, 2019 წლის 21 ოქტომბერი.

რომ „იმ პირობებში, როდესაც სსკ-ის იურიდიული პირის მომწესრიგებელი ნორმები და სპეციალური კანონი არ შეიცავდა პირდაპირ დათქმას საწარმოს დირექტორთან დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების თაობაზე, დგებოდა საკითხი იმის შესახებ, თუ ყველაზე უფრო რომელ სამართლებრივ ინსტიტუტთან იყო ეს ურთიერთობა ახლოს“. პალატამ აღნიშნა, რომ „დავალება იმ ხელშეკრულებათა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომელიც დაკავშირებული იყო სამუშაოს შესრულებასთან, მისი საგანი იყო რწმუნებული პირის მიერ ერთი ან რამდენიმე იმგვარი მოქმედების შესრულება, რომელიც იწვევდა ამა თუ იმ შედეგის დადგომას და, როგორც წესი, ეფუძნებოდა ურთიერთნდობას. რწმუნებულის ვალდებულებას წარმოადგენდა დავალებული მოქმედების მმართველის გულისხმიერებით წარმოება და მიღწეული შედეგის ადრესატი ხდებოდა წარმოდგენილი პირი“. ამ ნიშნებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ვინაიდან დირექტორს არ ჰქონდა წარმოდგენილი კონკრეტული შემოსავლის პირობებში ხარჯების გაქვითვის დამადასტურებელი მტკიცებულებები, დირექტორმა მტკიცების ტვირთი სარწმუნოდ ვერ გასწია, რის გამოც მას საბოლოო ჯამში დაეკისრა კიდევ სადავო თანხა. აღნიშნული გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არა მარტო დაუშვა დერივაციული სარჩელები დირექტორების წინააღმდეგ, არამედ ასეთ სარჩელებში საწარმოს სახსრების მართლზომიერად გამოყენების მტკიცების ტვირთი დირექტორზე გადაიტანა და ასეთი ტვირთის განუხორციელებლობის შედეგად ზიანის ანაზღაურებაც მასვე დააკისრა.

თავი VI. გერმანულ-ამერიკული და ქართული მოდელების შედარებითი ანალიზი

საქართველოს საკორპორაციო სამართალში, როგორც უკვე აღვნიშნე, 2008 წელს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა. ცვლილებები ეყრდნობოდა ამერიკულ და გერმანულ მოდელებს და სწორედ

მათი შერწყმის საფუძველზე შეიქმნა ახალი სისტემა. სწორედ ამიტომ არის საინტერესო გერმანულ-ამერიკული სამართლებრივი სისტემებისა და ქართული მოდელის შედარებითი ანალიზი.

გერმანული, ამერიკული და ქართული მოდელების განხილვის შემდეგ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ სამივე მოდელი მორგებულია კომპანიის საუკეთესო ინტერესს. რა თქმა უნდა, პრაქტიკული და სამართლებრივი მოწესრიგებით ყველაზე დახვეწილი მოდელი აქვს ამერიკას, რაც რამდენიმე საუკონოვანი გამოცდილებიდან გამომდინარეობს. ამერიკულ მოდელზეა შექმნილი გერმანული მოდელიც გარკვეული ცვლილებებით, რაც გამოიხატება უფრო მეტ შეზღუდვაში. კერძოდ, ამერიკულისგან განსხვავებით გერმანული მოდელი დერივაციული სარჩელის დასაშვებობის საკითხს უფრო მკაცრად უდგება. ამ ნაწილში ქართული მოდელი მეტწილად ამერიკული ხასიათის მატარებელია. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამერიკული მოდელის მიხედვით, დერივაციული სარჩელის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს მენეჯმენტისა და აქციონერთა ინტერესების დაახლოება და კორპორაციულ მართვაში მცირე აქციონერთა ჩართულობის უზრუნველყოფა, ხოლო გერმანული მოდელის მიხედვით კი, სააქციო საზოგადოების ორგანოების წინააღმდეგ სარჩელის დასაშვებობის ინიცირების უფლება აქვთ საწესდებო კაპიტალის 1%-ის ან 100 000 ევროს მფლობელ აქციონერებს. ამერიკულისგან განსხვავებით, გერმანიას აქვს ორ საფეხურიანი მართვის მოდელი და თუ დერივაციული სარჩელი სასამართლოში მისვლამდე მიდის აღმასრულებელ საბჭოში, რომელიც წყვეტს საფუძვლიანობის საკითხს, ამერიკულმა მოდელმა ბორდის შიგნით შექმნა სპეციალური კომისია, რომელიც არის შუამავალი რგოლი და რომელიც იღებს გადაწყვეტილებას, ასევე, დერივაციული სარჩელის საფუძვლიანობის თაობაზე და სწორედ მათი გადაწყვეტილების შემდეგ მიდის უკვე სარჩელი უშუალოდ სასამართლოში.

რაც შეეხება დერივაციული სარჩელის წარდგენის წინაპირობებს, გერმანული კანონი შთაგონებულ იქნა აშშ-ის საკანონმდებლო სისტემით.

აბსოლიტურად სხვაგვარი მიდგომაა აშშ-ში. ამერიკაში არსებობს ე.წ. „Pre-Trial Discovery“, რაც წარმოადგენს ცალკე პროცესს მთავარ სასამართლო პროცესამდე და სწორედ ამ პროცესზე მხარეების მიერ ხდება ერთმანეთის შესახებ ინფორმაციის მოპოვება, თუმცა ეს არ გულისხმობს კონკრეტული დოკუმენტის გამოთხოვას.

აქედან გამომდინარე, უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული სამართლის მსგავსი რეგულირება არის ქართულ საკორპორაციო სამართალშიც, იქიდან გამომდინარე, რომ მეწარმეთა შესახებ კანონი განამტკიცებს დირექტორების მიერ მოვალეობათა დარღვევის პრეზუმფციას, მოსარჩელე საზოგადოებას არ მოეთხოვება იმ მტკიცებულებების წარდგენა, რომლებიც მის სარჩელში მოცემულ მოთხოვნას ამყარებს. პირიქით, დირექტორებმა უნდა წარადგინონ ის მტკიცებულებები, რომლებიც მათ არაბრალეულობას და მათ მიერ მოვალეობათა შესრულებას ადასტურებენ.⁹⁵

ქართული და გერმანული სისტემისგან განსხვავებით, აშშ მდიდარია სასამართლო პრაქტიკით, რაც უფრო მეტად უწყობს ხელს როგორც კორპორაციის საუკეთესო ინტერესების გატარებას, ასევე, საკანონმდებლო ნორმების დახვეწასა და მათ განმარტებას. რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით ქართულ და გერმანულ მოდელებზე, ვინაიდან, ამ შემთხვევაში თითქოს და გვაქვს საანონმდებლო მზაობა, მაგრამ არ ხდება დერივაციული თუ თუნდაც სხვა სახის სამეწარმეო სარჩელების პოპულარიზაცია, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ბიზნესს და გაზრდის ინვესტორთა რაოდენობას, გამომდინარე იქედან, რომ აქციონერი/პარტნიორი უფრო დაცულად იგრძნობს თავს.

რომ შევაჯამოთ, ძირითადი განსხვავება ამერიკულ, გერმანულ და ქართულ მოდელებს შორის არის დასაშვებობის საკითხი. წინაპირობები მეტნაკლებად ერთნაირია, თუმცა, განსხვავდება კომისიის არსებობითა და როლით, რაც ერთგვარი ფილტრია როგორც კომპანიის საუკეთესო ინტერესებისათვის,

⁹⁵ ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006, გვ. 460

ასევე, სასამართლოს გადატვირთულობის თავიდან აცილების თვალაზრისით.

თავი VII. დერივაციული სარჩელის მოწესრიგება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მიხედვით

საქართველოს პარლამენტში 2021 წლის თებერვალში განხორციელდა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის⁹⁶ ინიცირება. აღნიშნული პროექტით სრულიად ახლებურად და უფრო დეტალურად რეგულირდება საკითხების დიდი ნაწილი. ცვლილებები შეეხო დერივაციულ სარჩელსაც. კერძოდ, კანონპროექტის 222-ე მუხლით განისაზღვრა პასუხისმგებლობის ინიცირების საკითხი, ხოლო 223-ე მუხლით აქციონერის სარჩელი სააქციო საზოგადოების მოთხოვნიდან გამომდინარე.

პროექტის 222-ე მუხლით განსაზღვრულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უფლებამოსილი სუბიექტები და პასუხისმგებლობის ინიცირების პროცედურები. პასუხისმგებლობის ინიცირების უფლება აქვთ საერთო კრებას, სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორთა საბჭოს, ამავე, ორგანოთა უფლებამოსილებების ფარგლებში.

ზოგადად სააქციო საზოგადოების სახელითა და სასარგებლოდ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება აქვს საზოგადოების ხელმძღვანელ პირს. თუმცა ინვესტიციათა დაცვის მიზნით, წინამდებარე მუხლი განსაზღვრავს შესაძლებლობას, საერთო კრებამ მიიღოს გადაწყვეტილება და დაავალოს სამეთვალყურეო საბჭოს ან დირექტორთა საბჭოს, რომ მათ

⁹⁶ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, ინიციატორი საქართველოს პარლამენტის წევრები: სარჯველაძე მ., ბუჩუკური ა., წულუკიანი თ., პაპუაშვილი შ., სონდულაშვილი დ., ბოჭორიშვილი მ., მათიკაშვილი დ., ღუდუშაური ა., დაუშვილი მ., ლილუაშვილი ბ., დოკ. N07-3/29/10, 09.02.2020 წ.

მოითხოვონ თანამდებობის პირებისაგან მოვალეობათა დარღვევით სააქციო საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამგვარი მოთხოვნა იქნება აქციონერის დერივაციული სარჩელის ალტერნატივა (თუმცა არა იდენტური), რომელიც მინიჭებული აქვს საერთო კრებას, როგორც საზოგადოების ორგანოს. კანონპროექტი არაობიექტური დაყოვნების პრევენციისათვის ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოთხოვნის რეალიზების განსაზღვრულ ვადასაც. კერძოდ, საერთო კრების გადაწყვეტილება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ უნდა შესრულდეს გადაწყვეტილების მიღებიდან 6 თვის ვადაში. ამასთანავე, საერთო კრება, როგორც კოლეგიური ორგანო, აღნიშნული მოთხოვნის რეალიზებისთვის სარგებლობს სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის უფლებით.⁹⁷

რაც შეეხება 223-ე მუხლს, აქციონერ(ებ)ს უფლება აქვს(თ), შეიტანონ სარჩელი თავისი სახელით და სააქციო საზოგადოების სასარგებლოდ სააქციო საზოგადოების კუთვნილი მოთხოვნის განსახორციელებლად. ასეთი სარჩელის ფარგლებში წარმოება უმეტესწილად სააქციო საზოგადოების თანამდებობის პირთა წინააღმდეგ მიმდინარეობს. სარჩელის მოთხოვნის საგანი კი შეიძლება იყოს საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ზიანის ნაცვლად სააქციო საზოგადოებისთვის მიღებული სარგებლის გადაცემა ან ამგვარი სარგებლის მიღების უფლების დათმობა.

დერივაციული სარჩელით სარგებლობისთვის კანონპროექტი ადგენს მნიშვნელოვან პროცედურულ ბარიერებს. კერძოდ, აქციონერი სათანადო მოსარჩელედ მიიჩნევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის განხორციელება არ ეწინააღმდეგება სააქციო საზოგადოების უპირატეს ინტერესს და სარჩელის აღძვრის მოთხოვნით იგი მიმართავს სააქციო საზოგადოებას წერილობითი ფორმით. ამის შემდგომ საჭიროა

⁹⁷ ჯუღელი გ., გიგუაშვილი გ., განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით), თბ. 2021წ., გვ.267

საზოგადოებისათვის 90-დღიანი ვადის მიცემა. აღნიშნული ვადის დაცვის აუცილებლობიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც სააქციო საზოგადოება ამ ვადის გასვლამდე უარს იტყვის სარჩელის აღძვრაზე, ან ამ ვადის დაცვამ შესაძლოა, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს სააქციო საზოგადოებას.⁹⁸

223-ე მუხლის მე-3 ნაწილით ასევე განისაზღვრა საზოგადოების მიერ აქციონერის ჩანაცვლების საკითხიც. კერძოდ, „სააქციო საზოგადოებას უფლება აქვს სარჩელის შემტან აქციონერთან შეთანხმებით ნებისმიერ დროს ჩაენაცვლოს მას.“

ამავე მუხლის მე-4 ნაწილით რეგულირდება ხარჯების გადანაწილება. განმარტების თანახმად, სასამართლოს მიერ აქციონერის სათანადო მოსარჩელედ მიჩნევის შემთხვევაში სააქციო საზოგადოება ვალდებულია, გონივრულ ფარგლებში აუნაზღაუროს აქციონერს სარჩელთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები. თუმცა სააქციო საზოგადოება თავისუფლდება ამ ხარჯების ანაზღაურების მოვალეობისაგან, თუ იგი დაამტკიცებს, რომ სარჩელის დაკმაყოფილება საზიანო აღმოჩნდა სააქციო საზოგადოებისათვის. ხოლო, იმ შემთხვევაში თუ აქციონერი არასათანადო მოსარჩელედ იქნა ცნობილი, თავად აქციონერს ეკისრება სააქციო საზოგადოების მიერ გონივრულ ფარგლებში გაწეული იმ ხარჯების ანაზღაურება, რომლებიც წარმოიშვა აქციონერის მოთხოვნასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, ახალი კანონპროექტი მეტნაკლებად აზუსტებს და ავრცობს დერივაციული სარჩელის თემას, აღძვრის წინაპირობებსა და შედეგებს, თუმცა, ჩემი აზრით, ისევ სასამართლო პრაქტიკის არარსებობიდან გამომდინარე, არც ახალი მოწესრიგებაა სრულყოფილი და დავის

⁹⁸ ჯუღელი გ., გიგუაშვილი გ., განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით), თბ. 2021წ., გვ. 269

წარმოშობის შემთხვევაში მოსამართლეებს მაინც მოუწევთ დამატებითი განამრტებების გაკეთება.

დასკვნა

როგორც შესავალ ნაწილში აღვნიშნე, წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მიზანია დერივაციული სარჩელის თავისებურებების განხილვა ქართული და გერმანულ-ამერიკული მოდელის ფარგლებში, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, კერძოდ, შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების ანალიზი, აკადემიური კომენტარების, სტატიების/ნაშრომების, კვლევების, ანგარიშებისა და რეკომენდაციების განხილვა, ასევე საერთო სასამართლოებისა და საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი განსახილველ საკითხთან მიმართებით.

პირველი ხარვეზი, რომელიც, ჩემი აზრით, არსებობს, არის დერივაციული სარჩელის საკანონმდებლო მოწესრიგება - ნორმის ფორმულირება და ზოგადი ხასიათი, რაც „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი პროექტით მეტნაკლებად გამოსწორებულია. არსებული ნორმა თითქოს და არ ტოვებს კითხვის ნიშანს და არ აქვს ბუნდოვანება, მაგრამ, პრაქტიკული ნაწილის სიმწირის გამო, რაც კიდევ ერთი ცალკე არსებული პრობლემაა, რთულია განსაზღვრო ნორმის პრაქტიკაში გამოყენების სირთულე.

მეორე საკითხი, რომელმაც, ჩემი აზრით, შესაძლოა პრობლემა შეუქმნას კომპანიის საუკეთესო ინტერესების გატარებას, არის დასაშვებობის/პრეტენზიის განხილვის 90 დღიანი ვადა. მართალია, ერთი მხრივ, აღნიშნული წარმოადგენს ფილტრს და თავად კორპორაციას აძლევს საშუალებას ფაქტობრივად გამოასწოროს შეცდომა, არსებობის შემთხვევაში, თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნული პერიოდი, შესაძლოა სავალალო აღმოჩნდეს, სავარაუდო მოპასუხე მხარემ გაანადგუროს ყველა საჭირო მტკიცებულება და ფიზიკურად შეუძლებელი აღმოჩნდეს დავის გადაწყვეტა. დასახელებული კრიტერიუმით ქართული მოდელი მსგავსია ამერიკულისა,

თუმცა, ხარვეზად უნდა აღვიქვათ ისიც, რომ ქართული კანონმდებლობა, აშშ-ს მსგავსად არ აწესებს გამონაკლის შემთხვევას, თუ როდის აქვს აქციონერს/პარტნიორს 90 დღის ვადის დაუცველად პირდაპირ სასამართლოსთვის მიმართვის უფლება. მართალია, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა და მიანიჭა ასეთი უფლება პარტნიორს/აქციონერს, თუ დაადასტურებს, რომ კომპანიისთვის მიმართვა უშედეგო იქნებოდა, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ საქართველო არ არის პრეცედენტული ქვეყანა, მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე კონკრეტულობა.

გარდა ამისა, რეკომენდაციის სახით, ვფიქრობ, კარგი იქნება თუ განისაზღვრება სასამართლო ეტაპზე სარჩელის დასაშვებობის განხილვის საკითხიც. კერძოდ, როდესაც აქციონერი/პარტნიორი მიმართავს სასამართლოს მესამე პირების წინააღმდეგ, მანამდე სანამ სასამართლო სარჩელს არ მიიჩნევს დასაშვებად, აღნიშნული ფაქტი ცნობილი არ გახდეს მოპასუხე მხარისათვის. წინამდებარე მოსაზრება მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, კომპანიის რეპუტაციის დაცვას და მეორე მხრივ, ბიზნეს ინტერესების მაქსიმალურად გატარებას, რათა დაუშვებლობის შემთხვევაში საზოგადოებამ არ დაკარგოს ხელშემკვრელი მხარეები, იგი არ გახდეს უინტერესო ინვესტორებისათვის და არ გამოიწვიოს კომპანიის გაკოტრება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რომ შევაჯამო, უნდა ითქვას, რომ დერივაციული სარჩელი საკმაოდ მნიშვნელოვანი ინსტიტუტია ბიზნეს სამართლის თვალსაზრისით. მისი გამოყენება იცავს აქციონერთა/პარტნიორთა უფლებებს და მეტ პასუხისმგებლობას სძენს დირექტორებს, თავიანთი საქმიანობა განახორციელონ კეთილსინდისიერად და გულმოდგინედ. დერივაციული სარჩელი არის მექანიზმი, რომლითაც აქციონერებს/პარტნიორებს აქვთ შესაძლებლობა აკონტროლონ საზოგადოების საქმიანობა და, საჭიროების შემთხვევაში, თავად მოახდინონ რეაგირება პრობლემებზე. შესაბამისად, დერივაციული სარჩელის მნიშვნელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, პირველ რიგში,

აღმოიფხვრას საკანონმდებლო ხარვეზები, ნორმები გახდეს უფრო აშკარა და არ იყოს ბუნდოვანი. ასევე, მიმაჩნია, რომ სასამართლო პრაქტიკის განვითარებას ხელს შეუწყობს იურიდიული ლიტერატურის, აკადემიური კომენტარების, რეგულარული კვლევებისა და მონიტორინგის არსებობა, ასევე, კერძო სექტორისა და ბიზნესის ცნობიერების ამაღლება, რომლითაც შესაძლებელი გახდება პრობლემების დროული იდენტიფიცირება და მათი მოგვარების გზების დასახვა.

გამოყენებული ლიტერატურა

- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი;
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2014 წლის 31 ოქტომბრის კანონი;
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2008 წლის 14 მარტის კანონი;
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი;
- „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, 09.02.2020წ.;
- ჭანტურია ლ., კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, 2006;
- მაჭავარიანი ს., კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში, თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015 წ.;
- ცერცვაძე ლ., დერივატიული სარჩელი-Derivative Lawsuit. ყ. ადვოკატი, 2015, N1-2;
- ბექაქური ნ., გელტერი მ., ჯუღელი გ., ცერცვაძე ლ., საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისთვის, ოქტომბერი 2019;
- ბურდული ი., ხელმძღვანელი პირის პასუხისმგებლობის საკითხისთვის, ხელმისაწვდომია shorturl.at/mBCOR ;
- ჯუღელი გ., კაპიტალის დაცვა სააქციო საზოგადოებაში, გამომცემლობა „სიესტა“, 2010;
- ჯუღელი გ., გიგუაშვილი გ., განმარტებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტზე (09.02.2021 წლის რედაქციით), თბ. 2021წ.,
- <https://bm.ge/ka/article/korporaciuli-martvis-farglebshi-warmoqmnili-sasamartlo-davebis-taviseburebebi-/34373>
- Martin Gelter, Why do Shareholder Derivative Suits Remain Rare in Continental Europe, Fordham Law School FLASH: The Fordham Law Archive of Scholarship and History;
- MODEL BUSINESS CORPORATION ACT (2005), Official Comment;
- RMBCA (Revised Model Business Corporation Act);
- Business Judgment Rule in Derivative Suits Against Directors“, Mark A. Underberg
- ee United Copper Sec. Co. v. Amalgamated Copper Co., 244 U.S. 261, 263 (1917); Corbus v. Alaska Treadwell Gold Mining Co., 187 U.S. 455, 462 (1903); Swanson v. Traer, 249 F.2d 854, 858 (7th Cir. 1957); Goldberg v. Ball, 305 Ill. App. 273, 282, 27 N.E.2d 575, 579 (1940);
- 104 U.S. 450 (1881);
- 213 U.S. 435 (1909);

- 615 F.2d 51 (2d Cir. 1980). In Galef, the shareholder-plaintiff alleged that by approving amendments to certain executive stock option plans, directors of TRW, Inc., breached their fiduciary duties to the corporation and violated §14(a) of the Securities Exchange Act;
- ARTICLE: THE POWER STRUGGLE BETWEEN SHAREHOLDERS AND DIRECTORS: THE DEMAND REQUIREMENT IN DERIVATIVE SUITS, Tamar Frankel (<https://www.researchgate.net/publication/266470583>);
- საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-687-658-2016, თბილისი, 2018 წლის 6 ნოემბერი;
- თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე №2/6722-12, №6.2, თბილისი, 16.05.2014წ.;
- ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე №2/1765-16, ქუთაისი, 2018 წლის 7 ივნისი;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-727-685-2016, თბილისი, 2019 წლის 23 იანვარი;
- საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმე #ას-833-779-2017, თბილისი, 30 მარტი, 2018;
- საქართველოს უზენაესმა სასამართლო, საქმე #ას-1077-2018, თბილისი, 2019 წლის 21 ოქტომბერი;